# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№31 (10.136)

1—7 სექტემბერი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# იწყება თქვენი საინტერესო თავგადასავალი

დამთავრდა 2024 წლის ეროვნული გამოცდები. ახალგაზრდებმა პირველი სერიოზული გამოცდა ჩააბარეს და აბიტურიენტის სტატუსი სტუდენტის სტატუსით შეცვალეს. ეს ქვეყნის მასშტაბით 32 000-ზე მეტ აბიტურიენტს შეეხო.

აქედან იწყება ახალგაზრდების ყველაზე საინტერესო თავგადასავალი – მოგზაურობა ცოდნისა და ურთიერთობების სამყაროში, დამოუკიდებლად, მშობლების გარეშე.



ახალბედა სტუდენტებს ახალი ცხოვრების დაწყება მიულოცეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პირველმა პირებმა...

**ირაკლი კობახიძე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:** „უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებას ვულოცავ 32 000-ზე მეტ აბიტურიენტს, რომელთა ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იწყება. მჯერა, სტუდენტობის პერიოდი თქვენთვის, ახალი ცოდნის, გამოცდილებისა და მეგობრების შეძენასთან ერთად, წარმატებული და საინტერესო იქნება. საუნივერსიტეტო განათლების განვითარება და ახალგაზრდების მაქსიმალური ხელშეწყობა ჩვენი განსაკუთრებული პრიორიტეტია და მთავრობის სახელით, ამ გზაზე სრულ მხარდაჭერას გპირდებით. გისურვებთ წარმატებებს და იმ ცოდნის დაუფლებას, რომელიც მოგცემთ საშუალებას, მიაღწიოთ პროფესიულ წარმატებებს და წვლილი შეიტანოთ ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფაში".

**გიორგი ამილახვარი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი:** „გილოცავთ, ჩემო ძვირფასებო, ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას! ახლა თქვენს ცხოვრებაში იწყება ძალიან საინტერესო, ამავდროულად, მეტად საპასუხისმგებლო ეტაპი, რომელიც ახალ გამოცდილებებს, ურთიერთობებსა და განვითარების უნიკალურ შესაძლებლობებს გულისხმობს.ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი დგას თქვენზე - ნიჭიერ ახალგაზრდებზე და მჯერა, მიღებული ცოდნით, ასეთი შემართებითა და პროფესიონალიზმით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანთ საქართველოს განვითარების საქმეში.

დღეს ჩვენი მთავრობის უმთავრესი მიზანია, ხელი შეგიწყოთ თქვენი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენაში და საკუთარი თავის რეალიზებისთვის კიდევ უფრო ფართო ასპარეზი შემოგთავაზოთ. შესაბამისად, ვაგრძელებთ მუშაობას სხვადასხვა მიმართულებით, რათა თქვენ - მომავალ თაობას, ცოდნის გაუმჯობესებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის უკეთესი პირობები შეგიქმნათ.

ეროვნულ გამოცდებზე წარმატების მიღწევა პირველი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია, თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისია და თქვენ ცხოვრების გზაზე კიდევ არაერთი გამარჯვება გელით. რა თქმა უნდა, იქნება სირთულეები და გამოწვევებიც, თუმცა, ნურაფერს შეუშინდებით და მაქსიმალურად გამოიყენეთ ყველა შესაძლებლობა.

მოხარული ვარ, რომ წელს 32 000-ზე მეტმა აბიტურიენტმა წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები. კიდევ ერთხელ გილოცავთ თითოეულ ახალგაზრდას, ვულოცავ თქვენს მშობლებს, წარმატებებს, პროფესიულ წინსვლასა და დასახული მიზნების მიღწევას გისურვებთ."

**მაკა ჯანაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი:** „ძვირფასო კურსდამთავრებულებო, სრულიად საქართველოს აბიტურინტებო, გილოცავთ ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და სტუდენტობის სტატუსის მიღებას გისურვებთ დასახული მიზნების მიღწევას. გახსოვდეთ,თქვენ ჩვენი ქვეყნის ღირსეული მომავალი ხართ. გვჯერა, მიღებული ცოდნითა და უნარებით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანთ ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში".

**ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი:**

„დედოფლისწყაროში მცხოვრებო, უკვე პირველკურსელებო, ჩემო მეგობრებო, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის სახელით ყველას გილოცავთ სტუდენტის სტატუსის მოპოვებას.

დღეიდან იწყება თქვენს ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი, გამოწვევებითა და შესაძლებლობებით აღსავსე საინტერესო ეტაპი. მჯერა, რომ ნაყოფიერად გამოიყენებთ სტუდენტობის წლებს, მოიპოვებთ იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელსაც შემდგომში ჩვენს მუნიციპალიტეტსა და ქვეყანას მოახმართ. განათლებული ახალგაზრდობა ხომ ჩვენი მუნიციპალიტეტის, ჩვენი ქვეყნის საიმედო მომავლის გარანტია!

იცოდეთ, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია თქვენს გვერდითაა ყოველი წამოწყების დროს და ყოველთვის გქონდეთ ჩვენი მხარდაჭერის იმედი".

**ნუგზარ პაპიაშვილი, დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე:** „ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, გილოცავთ სტუდენტობას, ყველაზე რომანტიკული და ახალი თავგადასავლებით სავსე ცხოვრების დაწყებას! სტუდენტობა, პირველ რიგში, გულისხმობს საკუთარი პიროვნული და ინტელექტუალური განვითარების თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანას: ახალი ცოდნის დაუფლებას, თანამედროვე საზოგადოებრივი ტენდენციების შეცნობასა და საღ ანალიზს; ახალი გამოცდილების მიღებას, ახალი მეგობრების შეძენას. ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას მახსენდება დიდი ილიას სიტყვები: „ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია."

სწორედ რომ ასეა - თანამედროვე საზოგადოებას ცოდნის საზოგადოებას უწოდებენ.

გისურვებთ შემოქმედებით წინსვლას, ნაყოფიერი ყოფილიყოს საქართველოს უნივერსიტეტებში გატარებული სტუდენტური წლები, რათა ჩამოყალიბდეთ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად და გაამართლოთ ქვეყნის, მშობლიური მუნიციპალიტეტის, უნივერსიტეტისა და მშობლების იმედი".

***

საკუთარი მოსწავლეების წარმატების შესახებ განაცხადა **დედოფლისწყაროს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატმა:** „ა(ა) იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნეტის კურსდამთავრებულებს ვულოცავთ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებას! თოთხმეტი მოსწავლიდან ათი გავიდა ეროვნულ გამოცდაზე, და, რა თქმა უნდა, ყველამ წარმატებით ჩააბარა! გვყავს დაფინანსებამოპოვებული ოთხი 50%-იანი მოსწავლე, ერთი-70%-იანი, ასევე რამდენიმე მოეწყო სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პროგრამაზე! ვულოცავთ მათ ამ უდიდეს წარმატებას და ვუსურვებთ ბედნიერ სტუდენტობას! ეჭვიც არ გვეპარება, რომ თქვენ იქნებით ყველაზე ღირსეული, კეთილგონიერი, მართლმადიდებლური მრწამსით განმსჭვალული სტუდენტები! ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვიამაყოთ თქვენით! მადლობა პედაგოგებს თავდაუზოგავი შრომისთვის".

**მოამზადა**
**ინგა შიოლაშვილმა**

## ყურადღება!

**საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი №50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი" ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 26 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი" ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი/უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ღირებულება კი 150 ლარით განისაზღვრება.**

## უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელთა რეესტრში რეგისტრაცია, ამ დროისთვის, 233-მა ორგანიზაციამ გაიარა

იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის, თამარ ტყეშელაშვილის განცხადებით, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში, ამ დროისთვის, რეგისტრაცია 233-მა ორგანიზაციამ გაიარა.

აღნიშნული ინფორმაცია მან საკონსტიტუციო სასამართლოში გააჟღერა, სადაც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონთან დაკავშირებული სარჩელების განხილვა მიმდინარეობს. მისი თქმით, ქვეყანაში 30 000-მდე ორგანიზაცია არსებობს. „ამ წუთის მონაცემებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის 233 ორგანიზაციას აქვს მომართული რეგისტრაციისთვის. კიდევ არის დრო. დღეის მდგომარეობით, 30 000-მდე ორგანიზაციაა ქვეყანაში, თუმცა აქ შედის სახელმწიფო ა(ა)იპი-ები, ფედერაციები და ასე შემდეგ. დასათვლელია ე.წ. მკვდარი ორგანიზაციები, რომლებსაც ბრუნვა არ უფიქსირდებათ. კონსულტაციებთან და დეკლარაციების გაურკვევლობასთან დაკავშირებით, საჯარო რეესტრი ძალიან მოწადინებულია, რომ ხალხს დაეხმაროს. ჩვენი ვალია, მოქალაქეებს მოვუწოდოთ, რომ აღასრულონ კანონი და ამ კანონის შესრულებაში ხელი შევუწყოთ“, - განაცხადა თამარ ტყეშელაშვილმა.

## ანაკლიის პორტის მშენებლობაზე ხელშეკრულება ბელგიურ კომპანიასთან უკვე გაფორმდა

***ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის საზღვაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე ხელშეკრულება ბელგიურ კომპანია Jan De Nul-თან (იან დე ნული) გაფორმდა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სამშენებლო კომპანიაა საზღვაო მიმართულებით. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ავრცელებს.***

სამინისტროს ცნობით, ხელმოწერის ცერემონია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გაიმართა. დოკუმენტს ხელი მოაწერა შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის“ დირექტორმა ზურაბ სიჭინავამ, ხოლო კონსორციუმის მხრიდან Jan De Nul NV-ის საქართველოს ფილიალის (უცხოური საწარმოს ფილიალი) დირექტორმა ტიმ დევოლდერმა.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგური საქართველოსთვის სტრატეგიული პროექტია, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც ქვეყნის საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაში, ისე მთლიანად შუა დერეფნის ინფრასტრუქტურულ გაუმჯობესებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდაში. როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, გურამ გურამიშვილმა აღნიშნა, მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის სტრატეგიული პროექტის მშენებლობის პროცესში ასეთი დიდი გამოცდილებისა და მაღალი საერთაშორისო რეპუტაციის მქონე კომპანიის ჩართვა, რომელიც სწორედ საზღვაო-სამშენებლო სამუშაოებზეა სპეციალიზებული.

„იან დე ნული“ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის საზღვაო ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულად ე.წ. დიდი ოთხეულიდან შეირჩა. „იან დე ნული“ ჯგუფი 1938 წელს დაფუძნდა, მისი ბრუნვა 2,5 მლრდ ევროა და დასაქმებული ჰყავს 7000-ზე მეტი ადამიანი. „იან დე ნული“ ჯგუფის საქმიანობა ხუთ ძირითად მიმართულებას მოიცავს: ოფშორული ელექტროსადგურების მოწყობა, ზღვის ფსკერის დაღრმავება და საზღვაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - მათ შორის ნავსადგურების მშენებლობა, სამოქალაქო მშენებლობა და გარემოსდაცვითი პროექტების განვითარება. კომპანიის ოპერირების გეოგრაფიული არეალებია: ევროპა, სპარსეთის ყურე, აზია, აფრიკა, ამერიკა, და სხვ.

აღსანიშნავია, რომ „იან დე ნულ“ ჯგუფის მიერ სრულად ან ნაწილობრივ განხორციელებულია ისეთი მსხვილი პროექტები, როგორებიცაა - პანამის არხის გაფართოების პროექტი, სუეცის ახალი არხი ეგვიპტეში, ახალი საზღვაო პორტი ნადორში (მაროკო), ჰამბურგის პორტის დაღრმავების პროექტი, the Palm Jebel Ali - დუბაის ხელოვნური კუნძული და სანაპირო.

„ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის“ დირექტორის ზურაბ სიჭინავას ინფორმაციით, კომპანია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს უახლოეს პერიოდში დაიწყებს“, - აცხადებენ ეკონომიკის სამინისტროში.

## გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ცოფის პრევენციის მიზნით, ვაქცინირებულია 770 ცხოველი

გურჯაანის მუნიციპალიტეტში ცოფის ორი შემთხვევა დაფიქსირდა - ცოფის პრევენციის მიზნით, ვაქცინირებულია 770 ცხოველი, - ამის შესახებ ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მათივე ცნობით, „2012 წელთან შედარებით, ცხოველებში ცოფის შემთხვევები 80%-მდეა შემცირებული“.

„მიმდინარე წელს გურჯაანის მუნიციპალიტეტში ცოფის ორი შემთხვევა დაფიქსირდა (ლაბორატორიული კვლევის ოქმი №5408 - 05.08.2024; №5522 - 08.08.2024). დაინფიცირებულ პუნქტსა და საფრთხის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე გამოცხადდა კარანტინი. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, კომპეტენციის ფარგლებში, ჩაატარა დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებები.

ცოფის პრევენციის მიზნით, ვაქცინირებულია 770 ცხოველი, ჩატარდა დეზინფექცია, ცხოველთა ჯანმრთელობაზე მიმდინარეობს სისტემატური მონიტორინგი. არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გადაეგზავნა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შესაბამის ჯანდაცვის სამსახურს.

მიმდინარე წელს, დღეის მდგომარეობით, ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია ქვეყნის მასშტაბით ჩაუტარდა 185 000 შინაურ ბინადარ ცხოველს (ძაღლი, კატა), მათ შორის, კახეთის რეგიონში ვაქცინირებულია 27 300 ძაღლი და კატა. სააგენტოს მიერ განხორციელებული ვაქცინაცია არის უფასო და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში.

სურსათის ეროვნული სააგენტო ცოფის საწინააღმდეგო უფასო ვაქცინაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით 2013 წლიდან ახორციელებს. ფიზიკური ან იურიდიული პირის (მათ შორის, ცხოველთა თავშესაფარი) მოთხოვნის შემთხვევაში, სააგენტო უზრუნველყოფს პათოლოგიური მასალის უფასო ლაბორატორიულ კვლევას.

პროფილაქტიკის მიზნით, ყოველწლიურად სურსათის ეროვნული სააგენტო 300 000 სულ ძაღლსა და კატას ცრის, რის შედეგადაც, 2012 წელთან შედარებით, ცოფის შემთხვევები ცხოველებში 80%-მდეა შემცირებული.

სააგენტოს მიერ ცოფის საწინააღმდეგოდ განხორციელებული ღონისძიებები ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WOAH) დადებითად შეაფასა”, — ნათქვამია ინფორმაციაში.

## მაღალხარჯიანი რეანიმაციული შემთხვევების დაფინანსება გაიზრდება

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დაგეგმილია მაღალხარჯიანი რეანიმაციული შემთხვევების დაფინანსების ზრდა.

ინფორმაციის თანახმად, პროგრამის საპილოტე ეტაპზე, ინიციატივა ფილტვების შეშუპებისა და სუნთქვის უკმარისობის მართვას შეეხება, რაც რეანიმაციული შემთხვევების უმრავლესობას წარმოადგენს.

„განიხილეს ინიციატივა, რომლის მიხედვითაც რეანიმაციაში ხანგრძლივი დაყოვნების მაღალ ხარჯიანი შემთხვევები, DRG-თან ერთად, გამონაკლისის სახით, საწოლდღის მიხედვით დაფინანსდება. აქვე აღინიშნა, რომ სამედიცინო დაწესებულებებში, რეანიმაციის შემდგომ, პაციენტის გახანგრძლივებული მოვლისთვის, სპეციალური განყოფილების შექმნაც იგეგმება“.

მიხეილ სარჯველაძის ინფორმაციითვე, დაგეგმილი სიახლეების მიზანი DRG დაფინანსების მოდელის სრულყოფაა, უშუალოდ ეს ცვლილებები კი დადებითად იმოქმედებს პაციენტების ინტერესებისა და უფლებების დაცვაზე. ასევე - კლინიკების ეფექტურად საქმიანობაზე. სიახლის ამოქმედებისთანავე, განხორციელდება აქტიური მონიტორინგი, შემდეგ კი, ეტაპობრივად, ყველა რეანიმაციულ შემთხვევაზე გავრცელდება.

## მზადება ახალი სასწავლო წლისათვის

**აქტიურად მიმდინარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისთვის სასკოლო სახელმძღვანელოების და რვეულების განაწილების პროცესი.**

დღეის მდგომარეობით მიღებული და განაწილებულია:

***– მოსწავლეებისთვის უსასყიდლოდ გადასაცემი სასკოლო სახელმძღვანელოები და სასკოლო რვეულები;***

***– პირველკლასელებზე გადასაცემი პორტაბელური კომპიუტერები;***

***– პირველკლასელთა დამრიგებლებისთვის განკუთვნილი კომპიუტერები;***

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრი წარმატებულ და ნაყოფიერ ახალი 2024-2025 სასწავლო წელს უსურვებს მოსწავლეებსა და პედაგოგებს.

## უმაღლესი ჯილდო ლაშა ბექაურს და მის მწვრთნელს, კახა წიკლაურს

***პარიზიდან დაბრუნებულ ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს ყოფილ საპრეზიდენტო რეზიდენციაში მიღება მოუწყეს, სადაც კუთვნილი ფულადი ჯილდოები გადასცეს. აქვე ითქვა ისიც, რომ ღირსების ორდენით დაჯილდოვდებიან სპორტსმენები. 26 აგვისტოს კი პრემიერმა დააზუსტა, რომ ღირსების ორდენს მიიღებენ სპორტსმენების მწვრთნელებიც, რომელთა შორის დედოფლისწყაროს სოფელ არხილოსკალოს ძიუდოს მწვრთნელი კახა წიკლაურიცაა. ღირსების ორდენი უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოა, რომელიც სხვადასხვა დამსახურებებისთვის გაიცემა.***

კახა წიკლაური ლაშა ბექაურის პირველი მწვრთნელია, რომელმაც მას ძიუდო შეაყვარა და ამ სპორტის ანაბანა ასწავლა. ის დღემდე ნაყოფიერად მოღვაწეობს ქედების ზონაში.

თავად ლაშა ბექაური კიდევ უფრო განსხვავებულ ჯილდოს მიიღებს. მხოლოდ ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელები ჯილდოვდებიან წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით, დანარჩენი სპორტსმენები და მწვრთნელები კი ღირსების ორდენით. როგორც შირაქმა გაარკვია, დაჯილდოების ცერემონია ჯერ არ შედგა,



მიზეზი კი ისაა, რომ პარაოლიმპიელები 29 აგვისტოდან 8 სექტემბრის ჩათვლით იწყებენ ოლიმპიურ თამაშებს და ქვეყანა მათ ელოდება. პრეზიდენტს არ სურს დისკრიმინაცია მოხდეს და პარასპორტსმენები განცალკევებით დაჯილდოვდნენ. სამი ოქრო, სამი ვერცხლი და ერთი ბრინჯაოს მედალი - ასეთია ჩვენი ოლიმპიური ნაკრების შედეგი, რომლითაც საქართველომ გუნდურ ჩათვლაში, 206 ქვეყანას შორის 24-ე ადგილი დაიკავა. სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში გამართულ მიღებაზე ქართველ ოლიმპიელებს წარმატებული ასპარეზობისთვის მადლობა ქვეყნის პრემიერმა, პარლამენტის თავმჯდომარემ და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გადაუხადეს და მათ მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოუცხადეს.

დაპირებისამებრ ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მოპოვებისთვის სახელმწიფო სპორტსმენს 1 მილიონ ლარს გადასცემს, ვერცხლის მედალისთვის 500 000 ლარს, ხოლო ბრინჯაოს მედლისთვის 250 000-ს. ითქვა ისიც, რომ უმედლოდ დაბრუნებული ყველა სპორტსმენი 50 000 ლარს მიიღებს. ამას გარდა, სპორტსმენებმა საჩუქრად ბინები, ავტომანქანები და სხვადასხვა პრიზები კერძო სექტორისგანაც მიიღეს.

გარდა ამისა, კახა წიკლაურს „დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის“ წოდება 2017 წელს მიენიჭა, ლაშა ბექაურს კი 2019 წელს

***ილია მარტყოფლიშვილი***

# ქართველები ემიგრაციაში

## „უცხოობაში რაა სიამე?!"

***„უცხოობაში, მარტოობაში, სიღარიბეში სულიც გამძრობია... რატომ მიგატოვე, ჩემო საქართველო! ჩემო ივერია!" - ლევილის საფლავის ქვაზე დაწერილი ეს სიტყვები დღეს ათასობით ქართველის გულისთქმას გამოხატავს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი - 21-ე საუკუნის საქართველოს გაცილებით მეტი ემიგრანტი ჰყავს, ვიდრე ოდესმე ჰყოლია. მათი დიდი ნაწილი იტალიაში ცხოვრობს. „ბადანტე" - ასე უწოდებენ იტალიელები მოხუცის მომვლელს, რომელიც მის ოჯახში ცხოვრობს და უვლის. ამ ქვეყანაში ათასობით ქართველი ბადანტეა - ქალები, რომლებიც უცხოეთში ბედის უკუღმართობამ გადახვეწა. ისინი ხშირად ჩვენი ახლობლები, ნათესავები და ნაცნობები არიან.***

***„ჩემი ერთადერთი ნუგეში ახლა ის არის, რომ ჩემს შვილებს ყველაფერი აქვთ".***

თამილა ანთაძე: - ხშირად ვფიქრობ უცხოობაში გატარებულ წლებზე, ტკივილით სავსე დღეებზე, რომლებსაც ბოლო არ უჩანს, და შვილებზე, რომლებიც უჩემოდ იზრდებიან. ემიგრანტობა მძიმე ჯვარია! ფლორენციასთან ახლოს ვცხოვრობ და მძიმე ავადმყოფს ვუვლი, რომელიც ეტლში ზის და მუდმივი მეთვალყურეობა სჭირდება. ჩვენი ყოფა უსიხარულოა, რადგან მოხუცთან ერთად ოთხკედელში გამოკეტილი ბედნიერი ვერ იქნები.

რატომ წამოვედი? - იმიტომ, რომ წლების განმავლობაში გროშებზე ვმუშაობდი საბავშვო ბაღში და ჩემი ხელფასი თითქმის არაფერში მყოფნიდა... მერე მასწავლებლობაზე უარი ვთქვი და ხან ერთ, ხან მეორე მაღაზიაში ვმუშაობდი, ღამის ცვლასაც არ ვერიდებოდი, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ასე ჩემს შვილებს ვერც ნორმალურ განათლებას მივცემდი და ვერც კარგ მომავალს შევუქმნიდი. გადავწყვიტე, მათ არ გამოევლოთ ის, რაც მე გამოვიარე და უცხოეთში წამოსვლა გადავწყვიტე. შვილებს დედაჩემი ზრდის, უკვე უფროსკლასელები არიან, კარგად სწავლობენ და სანამ მათ გზაზე არ დავაყენებ, ვერ ჩამოვალ. ძალიან მიჭირს მათ გარეშე გათენებული ყოველი დღე, მაგრამ ასეთი ყოფილა ჩემი ბედისწერა. ბევრს ჰგონია, აქ უზრუნველი ცხოვრება გვაქვს, მაგრამ არავინ იცის, რამდენ ცრემლს და რა უსასრულო დარდს უძლებენ ემიგრანტი დედები. კვირაში მხოლოდ ერთი დღე გვაქვს თავისუფალი და ამ დღეს ქართველები ვცდილობთ შევიკრიბოთ, ერთმანეთის დარდს უსიტყვოდაც ვხვდებით... ჩემი ერთადერთი ნუგეში ახლა ის არის, რომ ჩემს შვილებს ყველაფერი აქვთ, მათ ჩემზე უკეთესი ცხოვრება ექნებათ.

***„ჩემი მოხუცი ყველაფერზე შენიშვნას მაძლევდა, სიცივეში გათბობას არ მირთავდა".***

ირმა ჩუბინიძე: - როცა უნივერსიტეტს ვამთავრებდი, ვერც წარმოვიდგენდი, თუ ჩემს პროფესიას ჩალის ფასი დაედებოდა და უცხო ქვეყანაში გადმოხვეწა მომიწევდა. სამწუხაროდ, მეც ემიგრანტი ქალების ბედი გავიზიარე. როცა ოჯახში ორი სტუდენტი გყავს და მეუღლესაც დაბალი ხელფასი აქვს, იძულებული ხდები, ოჯახის ტვირთი შენს მხრებზე აიღო და შვილების მომავალზე იზრუნო. იტალიაში, ქალაქ პრატოში, ჩემი ნაცნობები ცხოვრობდნენ, ისინი უკვე ბადანტეები იყვნენ და მეც მათ შევუერთდი. ათი თვის განმავლობაში უმუშევარი ვიყავი და ხშირად ვფიქრობდი, რა უმწეოა ის, ვისაც უცხო ქვეყანაში არავის იმედი არა აქვს-მეთქი. ჩემმა ნაცნობებმაც ვერაფერი მიშველეს, სანამ ენა არ ვისწავლე და საბუთები არ მოვაწესრიგე. იმ ათი თვის განმავლობაში საერთო ბინაში ვცხოვრობდი, ერთ ოთახში 20-25 ქალი ვიყავით, ელემენტარული პირობებიც კი არ გვქონდა. ბინას დამსაქმებელი აქირავებდა, რომელმაც ორჯერ გამიშვა დროებით სამსახურში: ერთხელ შორეულ მაღალმთიან სოფელში, 85 წლის მოხუცთან, რომელიც ერთ თვეში გარდაიცვალა. როგორც ჩანს, მისმა შვილებმა კარგად იცოდნენ, რომ დიდხანს ვერ იცოცხლებდა და ეს მძიმე მოვალეობა მე დამაკისრეს - საბრალო ქალმა ჩემ თვალწინ დალია სული! ამის შემდეგ ორი თვე ვუვლიდი ასაკოვან ქალს, რომელსაც ხელი ჰქონდა მოტეხილი და დროებით დამხმარე სჭირდებოდა. იქ ყოფნისას მივხვდი, რატომ ნატრობენ ემიგრანტი ქალები, რომ მათი „ბებია" ან „ბაბუა" ლოგინში იყოს ჩავარდნილი... ჩემს მოხუცს შეეძლო ყველაფერზე ებუზღუნა, შენიშვნა მოეცა და ზამთრის სიცივეში გათბობა არ ჩაერთო.

როგორც წესი, ახალჩამოსული ემიგრანტები ნაქირავებ ბინაში ცხოვრობენ და ამ ბინის ფულიც ვალად ედებათ, ამას ემატება თანხა, რომელიც აქ ჩამოსვლამდე დახარჯეს, ყოველდღიური დანახარჯები და უმრავლესობას ვალები უგროვდება. ამიტომ, როცა მუდმივი სამსახური გამოჩნდება, იძულებულია, ყველაზე მძიმე პირობებსაც შეეგუოს. ზოგი სკლეროზიან მოხუცს უვლის, ზოგი ალცჰაიმერით დაავადებულს, ან უფრო მძიმე ავადმყოფს. ჩემი მოხუციც ასეთია: ან ყვირის და ჩხუბობს, ან ერთ წერტილს შეჰყურებს და ხმას არ იღებს. ერთხანს ამოიჩემა, ინსულინის ნემსს ვიკეთებო და ნემსს ხან მუცელში ირჭობდა, ხან ხელებში, ამის გამო მთელი სხეული დაჩხვლეტილი ჰქონდა. ზოგჯერ ტელევიზორთან დაჯდება და ცდილობს პულტის ნაცვლად ტელეფონით გადართოს, ამას რომ ვერ ახერხებს, ჩხუბს და ყვირილს იწყებს...

რაც არ უნდა გაუკეთო, მაინც უკმაყოფილოა, მაგრამ ვეგუები. ალბათ, იკითხავთ, რატომო? - გამიმართლა და ძალიან კარგი შვილები ჰყავს, რომლებიც ცდილობენ ყურადღება არ მომაკლონ და სხვებივით საკვებს გრამობით არ მიზომავენ.

საქართველოში როდის დავბრუნდები? - ყველა დილა ამაზე ფიქრში მითენდება, მაგრამ მინდა ჩემს ქვეყანაში სიტუაცია ოდნავ მაინც შეიცვალოს, მინდა ისეთ სახელმწიფოში ვცხოვრობდე, სადაც ადამიანის შრომას ფასი აქვს, სადაც დაბერების და ხვალინდელი დღის არ გეშინია... მინდა ჩემს შვილებს კარგი მომავალი ჰქონდეთ... თუ ერთეულების შვილები ფუფუნებაში ცხოვრობენ, რიგით ოჯახებში მცხოვრებმა ბავშვებმა რა დააშავეს?! ჩვენს თაობას უკვე დაკარგული თაობა ჰქვია და ახლა მხოლოდ ერთი ნატვრა მაქვს: იქნებ ჩემს შვილებს მაინც ეღირსოთ ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც თითოეული მოქალაქე დაცულია, სადაც ადამიანს უზრუნველყოფილი სიბერე აქვს და მომავალი არ აშინებს. როცა შენს სამშობლოში სიდუხჭირეა, როცა ოჯახს საარსებო მინიმუმიც კი არა აქვს, სხვა რა გზაა? - ვიღაცამ მაინც უნდა გარისკოს და უცხო ქვეყნის გზას დაადგეს.

***„კალაბრიაში სრული განუკითხაობაა"***

ნათია ტიკარაძე: - 5 წელია რეჯო-კალაბრიაში ვარ, სადაც ძალიან ბევრი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს. კალაბრიაში უსაბუთოები ადვილად საქმდებიან, ამიტომ, ქართველები პირველად აქ ჩამოდიან, მაგრამ ძალიან ცუდი სიტუაცია ხვდებათ: ახალჩამოსულ ენის უცოდინარ ემიგრანტებს დამსაქმებლები ორმაგ ფულს სთხოვენ. ვინც ბინას იქირავებს, 350-400 ევრო უნდა გადაიხადოს. ზოგიერთი დამსაქმებელი პირველი თვის ხელფასიდან 600 ევროს მოითხოვს, როცა აქ ანაზღაურება 1000 ევროა. ზოგი კი მთლიან ხელფასს იღებს, ემიგრანტებს გზის და კვების ფულსაც არ უტოვებენ. კალაბრიაში სრული განუკითხაობა და ჯოჯოხეთია. აქ მცხოვრებ ერთ-ერთ „დამსაქმებელს", საქართველოდან ლამაზი გოგონები ჩამოჰყავს და, ფაქტობრივად, ყიდის - ბარის მეპატრონეს სთავაზობს. ამას წინათ, ერთი გოგონა, რომელიც მისი მსხვერპლი გახდა, თბილისიდან დამიკავშირდა და მითხრა: მაგ „ადამიანმა" კინაღამ თვითმკვლელობამდე მიმიყვანა, ისე გამამწარა, რომ დანით უნდა მომეკლაო. ამ გოგონამ გაქცევა მოასწრო, მაგრამ ამას ყველა ხომ ვერ ახერხებს?!

შედარებით ასაკოვან ქალებს რეჯოშიც ბადანტეს ადგილს სთავაზობენ. მათ ძალიან მძიმე ავადმყოფი მოხუცების მოვლა უწევთ. წინასწარ აფრთხილებენ, რომ მოხუცი სერიოზული ავადმყოფია, ტვინი გათიშული აქვს, აგრესიულია და ბადანტე ვალდებულია ყველაფერი მოუთმინოს. თუ მოხუცი ბადანტეს ხელით შეეხება, მას უფლება არა აქვს, შეეწინააღმდეგოს ან გააპროტესტოს. ხშირია შემთხვევა, როდესაც მოხუცი მომვლელს სცემს ან კბენს, ძალიან აგრესიულია და ბადანტეს შეურაცხყოფს... ყველაფერი რომ გითხრათ, მკითხველს ეგონება, ზღაპარს ვყვები.

ყველაზე მეტად მეცოდება ასაკოვანი ქალები, რომლებიც იტალიაში ჩამოსასვლელად ვალს იღებენ, დამსაქმებელი უმძიმეს სამსახურში უშვებს და ისინიც უარს ვერ ამბობენ, რადგან გამოსავალი არა აქვთ. ზოგიერთი 120-130-კილოგრამიან მოხუცს უვლის, ხომ წარმოგიდგენიათ, ჯანმრთელობა რა დღეში ექნებათ? ბადანტეები ხშირად ნატრობენ, რომ ჩავარდნილ მოხუცს მოუარონ: მართალია, პამპერსებს უცვლიან, მაგრამ უფრო მშვიდად არიან. აქ ყველამ იცის, რომ მოხუცების უმეტესობა აგრესიულია და უსაბუთო ბადანტეს არც ერთი კანონი არ იცავს. ამ რამდენიმე თვის წინ კალაბრიის რეგიონში 67 წლის ქართველი ქალი დააპატიმრეს. მას მოხუცზე ძალადობაში დასდეს ბრალი, ოჯახმა უჩივლა. რა თქმა უნდა, პატიმრობა შეუფარდეს, მაგრამ არავის უკითხავს, როგორ ექცეოდა ის მოხუცი, ან რამ მიიყვანა 67 წლის ქალი ამ ზომამდე!

გული მტკივა, როცა ჩემს ქართველებს ამ მდგომარეობაში ვხედავ და წამოსვლამდე ყველას ვურჩევ, სასაუბრო ენა მაინც ისწავლონ. ასე უფრო შეძლებენ თავიანთი უფლებების დაცვას. ჩვენ, ვინც აქაურობას უკვე შევეჩვიეთ, ვცდილობთ, ქართველ ქალებს როგორმე მდგომარეობა შევუმსუბუქოთ: აქ ცხოვრობს ემიგრანტი ანა ბურდული, რომელიც მათზე ზრუნავს. ანას ინიციატივით, ვებგვერდიც შევქმენით, სადაც ახალჩამოსულებს სამსახურებს ვთავაზობთ. დამსაქმებლის მიერ დაჩაგრულ ან დაზარალებულ ემიგრანტებსაც ვეხმარებით. რამდენიმე მათგანს უსამართლოდ წართმეული ფული დავუბრუნეთ.

ხუთი წელია უკვე აქა ვარ, ყოველ ახალ წელს, როცა ნაძვის ხეს მოვრთავ, ჩავიფიქრებ ხოლმე, რომ ეს უცხოეთში გატარებული ბოლო წელი იყოს, მაგრამ ეს ხუთი წელიწადი უსასრულოდ გაგრძელდა! მგონი, წელსაც მომიწევს უწესრიგოდ ჩაყრილი სათამაშოების ამოღება და აქ კიდევ ერთი უსასრულო წლის გატარება! მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ: ერთ დღეს მართლა გადმოვიფრენ ათასობით კილომეტრს და ჩემს ოჯახს დავუბრუნდები! სწორედ ამ დღის მოლოდინი გვაცოცხლებს და გვასულდგმულებს სამშობლოდან გადმოხვეწილ ქართველ ემიგრანტებს!

# სამრეკლოში ახალი საბავშვო ბაღი შენდება

***„მუნიციპალური განვითარების ფონდის" დაკვეთით დედოფლისწყაროს სოფელ სამრეკლოში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა იწყება. სოფელში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, 75 ბავშვზე, სამი ჯგუფისთვის გათვლილი საბავშვო ბაღი უნდა აშენდეს. სამუშაოებისთვის თავდაპირველად 1 821 822 ლარი იყო გათვალისწინებული, თუმცა ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შპს „სათავე+"-მა სამუშაოების შესრულების ვალდებულება 1 767 050 ლარად იკისრა. ვინაიდან სამრეკლოს ბაღის შენობა ძველი, ავარიული და არასტანდარტული იყო, აღდგენას აღარ ექვემდებარებოდა, ამდენად მისი დაშლა და ახლის მშენებლობა გადაწყდა. სამრეკლოელ ბავშვებს კი პროცესის დასრულებამდე კვლავაც ქ. დედოფლისწყაროს მესამე საბავშვო ბაღში სიარული მოუწევთ.***

პროექტის თანახმად, ამჯერად ერთსართულიანი საბავშვო ბაღი უნდა აშენდეს. ახალი მიდგომით, საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მალალსართულიანი შენობები რეკომენდირებული არ არის. თანამედროვე სტანდარტებით აგებული შენობა ადაპტირებული იქნება შშმ პირებისთვის, ასევე მოეწყობა სანიტარული კვანძი შშმ პირებისთვის. მოეწყობა დარბაზი მუსიკალური და ფიზკულტურული მეცადინეობებისთვის, ასევე მოთხოვნების შესაბამისად მოეწყობა სამზარეულო.

ტენდერი 2023 წლის ივნისში დასრულდა და სამშენებლო სამუშაოებისთვის 12 თვე განისაზღვრა. ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, პროექტი დასრულების ეტაპზე უნდა იყოს. თუმცა, როგორც ადგილზე სტუმრობისას გავარკვიეთ, ამჟამად მხოლოდ ძველი შენობის დემონტაჟია დასრულებული და მოედანი მშენებლობისთვისაა მომზადებული.

გაზეთი „შირაქი" ეცადა გაერკვია, რა ეტაპზეა პროცესი და რატომ ჭიანურდება სამშენებლო სამუშაოები. მწარმოებელ კომპანიაში, რომელიც ანალოგიურ პროექტს გურჯაანში, ახმეტასა და სიღნაღშიც ახორციელებს, განმარტავენ, რომ ვადის გახანგრძლივება სხვა რაიონებშიც მოითხოვეს, რადგან სხვადასხვა შემაფერხებელი გარემოებები გამოიკვეთა როგორც დედოფლისწყაროს სოფელ სამრეკლოში, ისე დანარჩენ შემთხვევებში.



კომპანია სამუშაოების გაჭიანურების მიზეზებს განმარტავს და ობიექტის ჩაბარების ვადის გახანგრძლივებას ითხოვს.

„საჭირო იყო საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობის, ელ. გადამცემი ბოძისა და ბუნებრივი აირის მილის გადატანა. ჩატარებული წინა საპროექტო კვლევების შედეგად გაირკვა, რომ სოფ. ჯაფარიძის საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორია ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე სტანდარტებით დადგენილ ნორმატიულ მონაცემებს. ჩვენს მიერ გაგზავნილი იქნა მიმართვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ, გამოეძებნათ ალტერნატიული ნაკვეთი ან შესაძლებლობა იგივე ნაკვეთის სამეზობლო ნაკვეთის ხარჯზე გაზრდით. გარკვეული ხნის შემდეგ მოხდა არსებული მიწის ნაკვეთის გაზრდა სამეზობლო ნაკვეთის საშუალებით. თუმცა ვინაიდან საბოლოოდ შერჩეული მიწის ნაკვეთი გამოვიდა „წაგრძელებული" (არასტანდარტული) ფორმის, საჭირო გახდა ახალი პროექტის დამუშავება, რომ მოვრგებულიყავით ზემოხსენებულ არასტანდარტულ ნაკვეთს, რამაც დაგვაკარგინა დიდი დრო და გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციის ჩაბარების დაგვიანება.

ამიტომ, სამუშაოების მიწოდების სახელშეკრულებო ვადის, 12 კალენდარული თვის ათვლა მოხდეს 2024 წლის 15 ივლისიდან, რაც გულისხმობს დასრულების ვადის განსაზღვრას 2025 წლის 15 ივლისის ჩათვლით. ჩვენი მხრიდან მაქსიმალურად ვცდილობთ შევასრულოთ ის სამუშაოები, რის შესაძლებლობასაც ობიექტებზე არსებული მდგომარეობა იძლევა, ხოლო იმ ობიექტებზე, სადაც არ არის შესაძლებელი სამუშაო პროცესის წარმოება, შემაფერხებელი გარემოებების აღმოფხვრისთანავე სრული მობილიზაციით დავიწყებთ სამუშაოების შესრულებას," - ამბობს „სათავე+"-ის დირექტორი მამუკა რევაზიშვილი.

კომპანიის ცნობით, სამრეკლოში სამშენებლო მოედანი მზადაა სამუშაოების დასაწყებად და კომპანია პროცესისთვის მობილიზებას ცდილობს, რის შემდეგაც ობიექტს ჩააბარებს. ორგანიზაციაში მიაჩნიათ, რომ 12 თვიანი ვადის ათვლა შენობის დანგრევისა და მოედნის მოსწორების შემდეგ უნდა დაიწყოს.

***ილია მარტყოფლიშვილი***

# საარჩევნო კამპანია, როგორც დემოკრატიის გამოცდა

***თანამედროვე დემოკრატიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს არჩევნები, სხვადასხვა რანგის ცენტრალურსა თუ ადგილობრივ წარმომადგელობით ორგანოებში. დემოკრატიულ ქვეყნებში სხვა ორგანოებიც არსებობს, რომლებიც ასევე აირჩევა როგორც საერთოდ ქვეყნის, ისე ფედერაციის სუბიექტების ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოქალაქეთა მიერ. ასეთ შემთხვევებში აჩევნებს შესაბამისად „საერთო-საყოველთაოს“, „ფედერაციულს“, ან „ადგილობრივს“ უწოდებენ და ისინიც მასობრივი პოლიტიკური კამპანიის ყველა ნიშანთვისებით ხასიათდებიან.***



რასაკვირველია, სხვადასხვა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არჩევნების ხვედრითი წილი და მნიშვნელობა არაერთგვაროვანია. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში აირჩევა პარლამენტის მხოლოდ ქვედა, ეგრეთ წოდებულ ი „თემთა პალატა“, აგრეთვე ადგილობრივი ორგანოები - საგრაფოების, ქალაქ საგრაფოების, მუნიციპალური და არამუნიციპალური ქალაქებისა და სამრევლოების საბჭოები. საფრანგეთის რესპუბლიკაში არჩევითი ორგანოების წრე უფრო ფართოა, რადგან აქ აირჩევა როგორც სახელმწიფოს მეთაური, ისე პარლამენტის ორივე პალატა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. ასევეა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც არჩევითია ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

არჩევნები, ძირითადად, კანონით დადგენილ ვადებში ტარდება. იმ ქვეყნებში, სადაც არ მოქმედებს საპარლამენტო პასუხისმგებლობის პოლიტიკური პრაქტიკა (ესე იგი, საპრეზიდენტო რესპუბლიკებში) და შესაბამისად, სახელმწიფოს მეთაურს პარლამენტის ვადამდელი დათხოვნის უფლება არა აქვს, საპარლამენტო არჩევნები მკაცრად განსაზღვრულ ვადებში ტარდება. ასეა, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში: მტკიცედ დადგენილ დროში (ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, ნოემბრის პირველი კვირის სამშაბათ დღეს) აირჩევა წარმომადგენლეთა პალატის მთელი შემადგენლობა და სენატის შემადგენლობის ერთი მესამედი.

საპარლამენტო რესპუბლიკებში და მონარქიულ სახელმწიფოებში, ჩვეულებრივად, არჩევნები ტარდება სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობით ორგანოს უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში ამბობენ , ჩატარდა „მორიგი“ არჩევნები. თუ სახელმწიფოს მეთაურმა ვადამდე დაითხოვა პარლამენტი, მაშინ ჩატარდება, ე.წ „რიგგარეშე“ არჩევნები. რიგ სახელმწიფოებში (ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია, იტალია, ბელგია და სხვა) საპარლამენტო არჩევნების ვადა მკაფიოდ დადგენილი არ არის და იცვლება ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების შსაბამისად. პარლამენტის დეპუტატის გაწვევის, გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში საპარლამენტო ვაკანსია შესაბამის საარჩევნო ოლქში ჩატარებული დამატებითი არჩევნების შედეგად შეივსება. როგორც პრეზიდენტი, ისე სხვა არჩევითი თანამდებობის პირები კანონით დადგენილ ვადებში აირჩევიან, ხოლო რიგგარეშე არჩევნები, ზემოთხსენებული შემთხვევის მსგავსად, ჩატარდება პრეზიდენტისა თუ სხვა თანამდებობის პირის გადაყენების, გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევბში.

საერთოდ, არჩევნები სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებით უნდა გამოცხადდეს ამავე აქტით განსაზღვრულ ვადებში, რის შემდგომაც დაწყებული საარჩევნო კამპანია გრძელდება ხმის მიცემის დამთავრებამდე. ეს ვადები შესაძლოა კონსტიტუციითაც იყოს განსაზღვრული, როგორც ცნობილია, არჩევნები საარჩევნო ოლქების მიხედვით ტარდება. ამ უკანასკნელთ, საარჩევნო კანონის მიხედვით, ან ცენტრალური ხელისუფლება ქმნის, ან ფედერაციის სუბიექტის ხელისუფლება. თუ ოლქიდან ერთი დეპუტატი აირჩევა, ასეთ ოლქს „ერთსახელიანს“(უნინომინალურს) უწოდებენ. ხოლო თუ რამდენიმე დეპუტატი –„მრავალსახელიანს“, ანუ (პოლინომინალურს). პროპორციული საარჩევნო სისტემის მქონე სახელმწიფოებში (ფინეთი, შვეცია, ნორვეგია და სხვა) ქვეყნის მთელი ტერიტორია იყოფა პოლინომინალურ საარჩევნო ოლქებად. რაც თვითპროპორციონალურობის პრინციპის გამოხატულებაა. ცალკეულ შემთხვევებში ქვეყანა ერთიან საარჩევნო ოლქად ცხადდება. ასეთის მაგალითია ისრელის ერთპალატიანი პარლამენტის (ქნესეთის) არჩევნები.

საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის სახელმწიფოში საგანგებო ორგანო შეიქმნება და მას ეკისრება შემდეგი მოვალეობანი: ამომრჩეველთა რეგისტრაცია, საარჩევნო სიების შედგენა, წარმოდგენილ კანდიდატთა რეგისტრაცია, ხმის მიცემის პროცედურის ორგანიზება, ხმების დათვლა და არჩევნების შედეგების განსაზღვრა. თითოეულ სახელმწიფოში არსებობს ასეთი ორგანოების შექმნის გარკვეული სისტემა. არცთუ იშვიათად არჩევნების ორგანიზების ფუნქციები ან ამ ფუნქციათა ნაწილი ეკისრება არა საგანგებოდ შექმნილ საარჩევნო კომისიას, არამედ, მაგალითად შინაგან საქმეთა ორგანოებს, მუნიციპალიტეტებს, და ასე შემდეგ. ზოგიერთ სახელმწიფოში არჩევნების ჩატარების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი მოხელე ინიშნება.

სახემწიფოს საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია ამომრჩეველთა რეგისტრაცია და სიების შედგენა. პრაქტიკაში არსებობს ამომრჩეველთა რეგისტრაციის ორი სისტემა - მუდმივი და დროებითი. პირველ შემთხვევაში ამომრჩეველი მხოლოდ ერთხელ გადის რეგისტრაციას, ხოლო ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა ხდება მხოლოდ ამომრჩევლის გარდაცვალების, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის ან გვარის გამოცვლის შემთხვევაში. დროებითი სისტემის მოქმედებისას კანონით განსაზღვრულ ვადებში ძველი საარჩევნო სიები გაუქმდება, ამომრჩევლები ხელახლა გაივლიან რეგისტრაციას და იქმნება ახალი სიები. ასეთი პრაქტიკა არის დიდ ბრიტანეთში, კანადაში, საფრანგეთში და სხვა.

დღეისათვის მსოფლიოში არჩევნებისას დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების მრავალი წესი და მეთოდი არსებობს, თუმცა, ისინი საბოლოოდ რამდენიმე ძირითად ვარიანტამდე დაიყვანება:

ა). კანდიდატის რეგისტრაციისათვის აუცილებელია შესაბამის ორგანოში თვით პრეტენდენტის კანდიდატობის მიერ ხელმოწერილი განცხადების წარდგენა. ზოგიერთ სახელმწიფოში აუცილებელია, რომ ეს განცხადება ამომრჩეველთა გარკვეული რაოდენობის ხელმოწერით იყოს გამაგრებული. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში კანდიდატის წამოყენებისათვის საკმარისია განცხადება ხუთი ამომრჩევლის ხელმოწერით.

ბ). კანდიდატის წამოყენება ხდება ოფიციალურად ან პარტიის, ან ამომრჩეველთა გარკვეული რაოდენობის მიერ ხელმოწერილი პეტიციის წარდგენის საფუძველზე. მაგალითად, შვეიცარიაში პარტიის მიერ წარდგენილ თითოეულ კანდიდატს დამატებით მხარს უნდა უჭერდეს სულ მცირე 15 ამომრჩეველი. მსგავსი „პეტიციური სისტემა“ ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმეეე შტატშიც მოქმედებს ადგილობრივი ორგანოებისა და შტატის ხელისუფლების ორგანოთა არჩევნების დროს.

გ). კანდიდატის წამოყენება იგივე წესით ხდება, რა წესითაც – დეპუტატების არჩევა, ამიტომ თვით კანდიდატთა წარდგენის პროცედურას უწოდებენ, პირველად არჩევნებს (ინგლ.„პრაიმერიზი“). ასეთი სისტემა მოქმედებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქ ამომრჩევლის მკაცრად განსაზღვრული პარტიული კუთვნილების მიხედვით ორი ძირითადი სახის „პრაიმერიზს“ განარჩევენ. პირველს, ანუ „ღია სახის პრაიმერიზს“ ახორციელებენ ის ამომრჩევლები, რომელთა არჩევნებში მონაწილეობის მიღებისათვის ან საერთოდ არ ითხოვენ მათი პარტიული კუთვნილების დადგენას, ან შესაბამისი პროცედურა იმდენად მარტივია, რომ ნებისმიერ ამომრჩეველს თვითონ შეუძლია სახელდახელოდ განსაძღვროს საკუთარი პარტიულობა. ამის შემდეგ ამომრჩეველი საარჩევნო კომისიისგან მიიღებს იმ პარტიის ბიულეტენს, რომლის კანდიდატსაც აძლევს ხმას. „დახურული პრაიმერიზის“ შემთხვევაში ამომრჩეველი მოვალეა, თავისი პარტიული კუთვნილება დაამტკიცოს.

საერთოდ, კანდიდატების წამოყენება თვით პოლიტიკური პარტიების მიერ ხდება, რომლებიც განსაზღვრულ პრინციპებზე დაყრდნობით შეარჩევენ პარტიის წევრ-კანდიდატებს საარჩევნო ოლქში მანდატის მოსაპოვებლად. მათ ან ცენტრალური თუ ადგილობრივი პარტიული ორგანოები წამოაყენებს, ან კიდევ ამ მიზნით საგანგებოდ შეკრებილი სრულიად პარტიული ყრილობა. სახელმწიფოს უპარტიო მოქალაქეს იურდიულად უფლება აქვს, საკუთარი კანდიდატურა წამოაყენოს არჩევნებში ეგრეთ წოდებულ „დამოუკიდებელ კანდიდატად“, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას მოუწევს, მხოლოდ საკუთარი და მეგობარ-მოთანაგრძნეთა შედარებით მოკრძალებული შესაძლებლობების იმედად იყოს პარტიული კანდიდატებისა და მათი მხარდამჭერი პოლიტიკური ძალების საორგანიზაციო თუ ფინანსური რესურსების საპირისპიროდ.

კანდიდატების წამოყენება დამატებით პრობლემებსაც წარმოშობს: მაგალითად, ზოგიერთ სახელმწიფოში კანდიდატის რეგისტრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ის გარკვეულ თანხას გადაიხდის ოფიციალური საარჩევნო გადასახდის სახით. ფორმალურად ეს წესი იმისათვის იქნა შემოღებული, რომ საარჩევნო ბრძოლაში არ დაუშვან ეგრეთ წოდებული „უპასუხისმგებლო კანდიდატთა“ მონაწილეობა. ეს წესი გარკვეულ სირთულეებს უქმნის შედარებით მწირი ფინანსური საშუალებების მქონე პოლიტიკურ ორგანიზაციებს.

ხმის მიცემის აქტი, ჩვეულებრივად, სახელმწიფოს მოქალაქის მიერ პირადად უნდა განხორციელდეს. რიგ შემთხვევაში სახელმწიფოს კანონმდებლობა იძლევა უფლებას, რომ ხმის მიცემა განხორციელდეს ფოსტით, მინდობლობით, წერა-კითხვის უცოდინართა ან ავადმყოფთა მაგიერ. უმრავლეს სახელმწიფოთა კანონმდებლობის მიხედვით, ხმის მიცემის აქტი განიხილება როგორც ამომრჩევლის სუბიექტური უფლება, რომლითაც ის საკუთარი შეხედულებისამებრ სარგებლობს. ზოგიერთ ქვეყანაში ხმის მიცემა სავალდებულოა, ამ ქვეყნების კანონმდებლობა ამ აქტს ამომრჩევლის სამოქალაქო მოვალეობად მიიჩნევს და მისი განუხორციელებლობის შემთხვევასი მოქალაქეს სხვადასხვა ხარისხის ადმინისტრაციული თუ სამართლებრივი სანქციები ემუქრება. იტალიის კონსტიტუციის მიხედვით, არჩევნებში ხმის მიცემის აქტის განხორციელება მომრჩევლის „სამოქალაქო ვალია“ და მისი იგნორირებისათვის გათვალისწინებულია „მორალური სანქცია“. ავსტრალიასა და ლუქსემბურგში ასეთი ამომრჩევლები ისჯებიან ფულადი ჯარიმით, ხოლო ავსტრიის კანონმდებლობა ითვალისწინებს ერთთვიან პატიმრობას ან ჯარიმას ათასი შილინგის ოდენობით. სავალდებულო ხმის მიცემის აქტი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში პასიურ მოქალაქეთა ჩართვის და ამომრჩეველთა აქტივობის ზრდის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ამ მოსაზრების თვალსაჩინო დადასტურებაა, თუნდაც, ბელგიისა და ავსტრალიის მაგალითი, სადაც არჩევნებში მონაწილეობს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 90 პროცენტი.

საარჩევნო კამპანიის შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია არჩევნებში მონაწილე პარტიებისა თუ კანდიდატების ფინანსურ შესაძლებლობებზე. ზოგიერთ სახელმწიფოში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის განმავლობაში პარტიები ან კანდიდატები საკუთარი ხარჯებით აწყობენ მიტინგებს, კრებებს, ბეჭდავენ პლაკატებს, ქირაობენ ეგრეთ წოდებულ „საარჩევნო აგენტებს“, ანალიტიკოსებს, კონსულტანტებს და ასე შემდეგ. მთელ მსოფლიოში არჩევნების დროს კორუფცია ისეთ ასტრონომიულ მასშტაბებს აღწევს, რომ რიგ სახელმწიფოებში, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების საფუძველზე გადაწყვიტეს, მიეღოთ საარჩევნო ხარჯების შემზღუდავი კანონები. მაგალითად, ავსტრალიაში სენატორობის კანდიდატმა საარჩევნო კამპანიის დაფინანსებისათვის 500 ავსტრალიურ ფუნტზე მეტი არ უნდა გაიღოს, ხოლო წარმომადგენელთა პალატის დეპუტატობის კანდიდატისათვის ეს თანხა შეადგენს მაქსიმუმ 250 ფუნტს. ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედი კანონის შესაბამისად, მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება არა აქვს, რომელიმე პოლიტიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის ფონდში წელიწადში 5000 დოლარზე მეტი შეიტანოს. კანადაში კანდიდატი მოვალეა, გამოაქვეყნოს მონაცემები საკუთარი შემოსავლების შესახებ. დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს პოლიტიკურ პარტიათა საარჩევნო სახსრების მკაცრ რეგლამენტირებას.

**ხმის მიცემა, არსებითად, საარჩევნო კამპანიის დამამთავრებელ ეტაპს წარმოადგენს. ამის შემდეგ საარჩევნო კომისიები შეუდგებიან ხმების დათვლას და არჩევნების შედეგების განსაზღვრას.**

*ბესიკ გიგოლაშვილი*

# ანაკლიისა და შაორის საზაფხულო ბანაკებმა ყველა რეგიონის ახალგაზრდებს უმასპინძლა

***სახელმწიფო ხელშეწყობით საზაფხულო ბანაკები ტრადიციულად წელსაც ამოქმედდა. ბანაკებმა სტუდენტების რამდენიმე ნაკადს უმასპინძლა. გასული წლების მსგავსად არდადეგების საინტერესოდ გატარების შესაძლებლობა მიეცათ დედოფლისწყაროელ ახალგაზრდებსაც. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რამდენად გაამართლა ამ ფორმატმა და კმაყოფილები დაბრუნდნენ თუ არა მონაწილეები.***



ინფორმაციისთვის: შაორის ბანაკი წელს ახალგაზრდების რვა ნაკადს მასპინძლობდა, ჯამში 800-მდე ახალგაზრდამ დაისვენა. ანაკლიის ბანაკი კი 13 ნაკადს მასპინძლობდა, სადაც აგვისტოში 3120 ახალგაზრდა იმყოფებოდა. როგორც ახალგაზრდობის სააგენტოში განმარტავენ, მონაწილეთა შერჩევა ღია კონკურსის გზით განხორციელდა და ბანაკში მონაწილეობის შესაძლებლობა რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებსაც მიეცათ.

ბანაკის პროგრამის შემადგენელი ნაწილი იყო ხელისუფლების წარმომადგენლებისა, თუ სხვა ცნობადი სახეების სტუმრობა და მათი უშუალო შეხვედრები მონაწილეებთან. ერთ-ერთი ასეთი დღე ოლიმპიურ ჩემპიონებთან და პრიზიორებთან შეხვედრას ეთმობოდა, დედოფლისწყაროელი ოლიმპიელები ლაშა ბექაური და





გიორგი სარდალაშვილი შაორის ბანაკის მონაწილეებს 25 აგვისტოს შეხვდნენ და რამდენიმე საათი მათთან ერთად გაატარეს. სპორტსმენებმა ბანაკის მონაწილეებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს, ისაუბრეს თავიანთ მიღწევებზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობაზე და უპასუხეს ახალგაზრდების შეკითხვებს.

ბანაკის ფარგლებში ახალგაზრდები ჩაერთნენ საკვანძო კომპეტენციების განვითარებისთვის მიმართულ საგანმანათლებლო, სპორტულ, შემეცნებით აქტივობებსა და შეხვედრებში.

თავდაცვის სამინისტროსთან, ეროვნულ ბანკთან და საქართველოს საპატრიარქოსთან თანამშრომლობით, ბანაკის მონაწილეებისთვის ჩატარდა ტრენინგები. ბანაკის მიზანია: ახალგაზრდებისთვის აქტიურ დასვენებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაცია, მათი ფიზიკური, ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ეროვნული და ევროპული ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა, პატრიოტული ღირებულებების წახალისება.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერითა და ახალგაზრდობის სააგენტოს ორგანიზებით, ახალგაზრდულმა ბანაკებმა (ანაკლია, შაორი, თემატური) 4500-მდე ახალგაზრდას უმასპინძლა. ხოლო, თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით განხორციელდა ჯარის ბანაკის პროექტი. მიმდინარე წელს ჯარის ბანაკმა მე-9, მე-10 და მე-11 კლასების 2000-ზე მეტ მოსწავლეს უმასპინძლა.

***სოფელ არბოშიკიდან თიკო ელაშვილი უკვე მერამდენე წელია საზაფხულო ახალგაზრდული ბანაკების ერთ-ერთი ლიდერია. ამ მხრივ საკმაო გამოცდილება დაუგროვდა და ბანაკების გარეშე ზაფხულის სეზონი ველარ წარმოუდგენია.***



**თიკო ელაშვილი** ***(ბანაკის ლიდერი):*** „ბედნიერი ვარ, რომ წელს კიდევ ერთხელ მომეცა საშუალება და ვარ შაორის და ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკების ერთ-ერთი ლიდერი. ბევრი ნაკადის ლიდერი ვყოფილვარ წინა წლებშიც. უკვე მესამე წელია შესაძლებლობა მეძლევა ამ პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფში ვიყო. გამომდინარე იქიდან, რომ საბანაკე პროგრამა ყოველწლიურად საკმაოდ მრავალფეროვანი და დატვირთულია, იგი ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს გაატარონ დრო ნაყოფიერად, მიიღონ მონაწილეობა როგორც შემეცნებით, ისე გასართობ აქტივობებში. ჩვენი ჩართულობით ბანაკის მონაწილეებს უტარდებოდათ არაერთი საჭირო და საინტერესო ტრენინგი, სპორტული შეჯიბრებები და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებები. საინტერესო და სასიამოვნო იყო ასე ოლიმპიელებთან შეხვედრა.

ბანაკს მონაწილეები სტუმრობდნენ სხვადასხვა რეგიონიდან ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ გამოცხადებული სარეგისტრაციო ფორმის შევსების საფუძველზე და მიხარია, რომ ეს შესაძლებლობა დედოფლისწყაროელებსაც მიეცათ. ვფიქრობ, და მათი უკუკავშირიც აძლიერებს იმ მოსაზრებას, რომ მათ საუკეთესო დღეები გაატარეს ბანაკში, რაშიც მე, როგორც ლიდერი და სხვა ბანაკის წარმომადგენლებიც თავდაუზოგავ შრომას ვდებდით, ყოველდღიურად ვზრუნავდით მათი დღეების გალამაზებაზე. იმედი მაქვს, შემდეგ წლებში უფრო მეტი ახალგაზრდა გვესტუმრება დედოფლისწყაროდან“.

„შირაქი“ ბანაკიდან დაბრუნებულ დედოფლისწყაროელ მონაწილეებსაც ესაუბრა და შთაბეჭდილებების გაზიარება სთხოვა:

**ემილი ჯამასპიშვილი** ***(არბოშიკი)***: „შაორის ახალგაზრდულ ბანაკში მოხვედრა ჩემი ოცნება იყო. მას შემდეგ, რაც ბანაკის შესახებ გავიგე, რამდენჯერმე ვეცადე მოხვედრა, მაგრამ სამწუხაროდ სტუდენტობის დროს არ გამიმართლა. წელს რეგიონის ახალგაზრდებს მოგვეცა საშუალება, რომ საააპლიკაციო ფორმა შეგვევსო და ამის საფუძველზე მოვხვდი. ძალიან ბევრი შემიძლია ვილაპარაკო შაორის ბანაკზე. ბანაკში პირველ, გახსნით ნაკადზე ვიყავი წასული. საცეკვაო ფორმები ჩვენივე ხელით შევკერეთ. ასევე, ტრენინგები გვქონდა, სადაც განვიხილავდით აქტუალურ თემებს და შესაბამისად ამ საკითხის სპეციალისტები მოდიოდნენ სტუმრად. იქ 5 დაუვიწყარი და ჯადოსნური დღე გავატარე: საოცარ სტაფთან, ლიდერებთან და მონაწილეებთან ერთად. ყოველი დღე განსხვავებული და ერთმანეთზე საინტერესო იყო, სპორტული, გასართობი და შემეცნებითი აქტივობებით



დატვირთული. თითოეული ჩვენგანი ერთი დიდი ოჯახის ნაწილი გავხდით, საიდან წამოსვლაც ძალიან ემოციური იყო. ვფიქრობ, სწორ დროს სწორ ადგილას აღმოვჩნდი. გავიცანი ადამიანები, რომლებმაც დიდი ნაწილი დაიკავეს ჩემს გულში. არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო ორგანიზატორებს, სტაფს, ლიდერებს და მონაწილეებს, ყველა ერთად ქმნის ამ საოცარ გარემოს, რასაც ბანაკი ქვია. ჩემი მოლოდინი 100%-ით გამართლდა. კვებაც შესაბამისი იყო. კვების ექსპერტი ზრუნავდა კვების ხარისხზე, ამიტომ ყველაფერი გემრიელი და საკმაოდ დიდი პორციები იყო. ჩემი მეგობარი და თანასოფლელია ჯგუფის ლიდერი თიკო ელაშვილი. სწორედ მისი რჩევით და დაჟინებული თხოვნით შევავსე ბანაკში მონაწილის განაცხადი. სამწუხაროდ, მის ჯგუფში ვერ მოვხვდი, მაგრამ იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ ბანაკში დასვენება მოვახერხე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე, პროფესიის ბიოლოგი ვარ და პირველ ნაბიჯებს ვდგამ ჩემს პროფესიაში“.

***/დასასრული ბოლო გვერდზე/***

# „საქართველოს ატმოსფერულ ჰაერში ფიქსირდება მყარი ნაწილაკების შემცველობის მატება“

***ატმოსფერული ჰაერი ბიოსფეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მისი მნიშვნელობა დედამიწაზე მცხოვრები ცოცხალი ორგანიზმებისათვის განუზომელია. ინდუსტრიალიზაციის, ენერგორესურსების მოხმარების თუ მოსახლეობის ზრდის შედეგად სულ უფრო იზრდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, შესაბამისად დაბინძურებისგან მიღებული შედეგები ბევრად უფრო თვალსაჩინოა.***

ატმოსფერული ჰაერის ხარისხი ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემაა მსოფლიოში. დღემდე ჩატარებული არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ადამიანის ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს და ის ზრდის სხვადასხვა დაავადებათა განვითარების რისკს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ურბანულ გარემოში მცხოვრები ყოველი 10 ადამიანიდან 9 დაბინძურებულ ჰაერს სუნთქავს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჰაერის დაბინძურება თითქმის ყველა ქვეყნისთვის გამოწვევაა (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 2018). ატმოსფერული ჰაერის ხარისხი ჩვენი ქვეყნისთვისაც ერთ-ერთი მთავარი გარემოსდაცვითი გამოწვევაა. საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემა ქვეყნის უმსხვილეს ქალაქებში, ასევე მსხვილ სამრეწველო ობიექტებსა თუ სამრეწველო ზონებთან ფიქსირდება.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოს ზოგიერთ რაიონში, ასევე, დედაქალაქში, 30 აგვისტოდან ატმოსფერულ ჰაერში ფიქსირდება მყარი ნაწილაკების (PM10, PM2.5) შემცველობის მატება, რაც ძირითადად ტრანსსასაზღვრო დაბინძურებას უკავშირდება და სამხრეთ-დასავლეთიდან, სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან უდაბნოს მტვრის მასების მცირედ გავრცელებით არის განპირობებული.

მათივე ცნობით, ტრანსსასაზღვრო დაბინძურება წლის განმავლობაში გარკვეულ დღეებში ფიქსირდება ანალოგიური სინოპტიკური სიტუაციის დროს.

„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო აგრძელებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის უწყვეტ მონიტორინგს ავტომატური სადგურების საშუალებით.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ინფორმაციას ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ და ასევე მიიღოს ჯანდაცვითი რეკომენდაციები ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე - https://www.air.gov.ge“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე საუბრისას, რატომ მახვილდება ძირითადი და განსაკუთრებული ყურადღება PM2.5-სა და PM10-ზე?

სწორედ უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკები (PM) არის ყველაზე პრობლემური დამბინძურებელი. ამასთან, PM-ები უფრო მეტ ადამიანზე მოქმედებს, ვიდრე სხვა ნებისმიერი დამბინძურებელი. ჰაერის PM-ებით დაბინძურება იწვევს თვალის გაღიზიანებას, ასთმას, ბრონქიტს, ფილტვის დაზიანებას, სიმსივნეს, მძიმე ლითონებით მოწამვლას და უარყოფითად ზემოქმედებს გულსისხლძარღვთა სისტემაზე. ასევე, PM-ები გავლენას ახდენს შემეცნებითი უნარის დაქვეითებასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

**რა არის PM?**

ეს არის უმცირესი ზომის მტვრის მყარი ნაწილაკები (Particulate Matter - PM). ტერმინი აღნიშავს ჰაერში არსებული მყარი ნაწილაკებისა და უმცირესი ზომის წვეთების ნარევს. ზოგიერთი ნაწილაკი, როგორიცაა მტვერი, ჭუჭყი, ჭვარტლი ან კვამლი, საკმარისად დიდი ან მუქია და მათი შეუიარაღებელი თვალით დანახვაც შესაძლებელია. ზოგიერთი ნაწილაკი კი იმდენად მცირეა, რომ მათი აღმოჩენა მხოლოდ ელექტრონული მიკროსკოპის გამოყენებით არის შესაძლებელი. ზომის მიხედვით, მყარი ნაწილაკების რამდენიმე ტიპი არსებობს, თუმცა, საქართველოში არსებული ფონური ავტომატური სტაციონარული სადგურები ზომავს PM2.5-სა და PM10-ს.

PM10 — ეს არის ჩასუნთქვადი/ინჰალაციური ნაწილაკები, რომელთა დიამეტრი არის 10 მიკრონი (იგივე მიკრომეტრი) ან უფრო ნაკლები. მათ შეუძლიათ შეაღწიონ და ღრმად ჩარჩნენ ფილტვებში. საქართველოში PM10-ის ზღვრულად დასაშვები ნორმა არის 50 მკგ/მ3 (რაც აღნიშნავს ნაწილაკების კონცენტრაციას მიკროგრამის მიხედვით კუბურ მეტრ ჰაერის მოცულობაზე). ამ მონაცემის ყოველი 50 მკგ/მ$^3$-ით ზრდა 15%-ით ზრდის ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელს. მაგალითად, ქალაქ რუსთავში PM10-ის კონცენტრაციის დონე 300 მკგ/მ$^3$-ამდეც კი ასულა, რაც 6-ჯერ აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას.



PM2.5 - მისი მცირე ზომიდან გამომდინარე (2.5 მიკრონი ან ნაკლები), აღნიშნული ნაწილაკები კიდევ უფრო საშიშია ჯანმრთელობისთვის, რადგან შეუძლია გასცდეს ფილტვის ბარიერს და მოხვდეს სისხლის მიმოქცევის სისტემაში. საქართველოში PM2.5-ის ზღვრულად დასაშვები ნორმა 25 მკგ/მ3 არის.

**რამდენად მცირეა 2.5 მიკრონი?** - ადამიანის თმის ღერის დიამეტრზე 30-ჯერ პატარაა.

მაშინაც კი, როდესაც უმცირესი მყარი ნაწილაკების კონცენტრაცია ჰაერში საკმაოდ დაბალია, მას მაინც აქვს უარყოფითი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე.

**რა შეგვიძლია გავაკეთოთ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად?**

1. ვისარგებლოთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ველოსიპედით ან ვიაროთ ფეხით, როდესაც ეს შესაძლებელია. მაქსიმალურად შევამციროთ პირადი ავტომობილით მგზავრობის სიხშირე და არ გამოვიყენოთ ის მოკლე მანძილზე გადასაადგილებლად.
2. ავტომობილის შეძენისას არჩევანი გავაკეთოთ ჰიბრიდულ ან ელექტრონულ ავტომობილებზე.
3. შევამციროთ ენერგიის მოხმარება როგორც სახლში, ისე სამსახურში.
4. ვიზრუნოთ ჩვენი ოჯახის წევრებისა და მეგობრების ცნობიერების ამაღლებაზე.
5. რეგულარულად შევამოწმოთ ჩვენი ავტომობილის ტექნიკური გამართულობა და ხშირად გამოვცვალოთ ჰაერის ფილტრები.
6. მოვიხმაროთ იმ ოქტანობის ბენზინი, რომელიც ჩვენი ავტომობილის ძრავისთვის არის განკუთვნილი.
7. გამოვიყენოთ საწვავი, რომელიც ნაკლებად აბინძურებს გარემოს (მაგ. შეშის, ქვანახშირის ან/და ნავთობპროდუქტების ნაცვლად ბუნებრივი აირი).
8. აუცილებლობის შემთხვევაში გამოვიყენოთ კარგად გამომშრალი შეშა (გასულ წელს დამზადებული).
9. ვმართოთ ავტომობილი ეკო-მართვის წესების დაცვით.
10. გავამწვანოთ ჩვენი სახლის ეზო.
11. არ დავწვათ ფოთლები, საყოფაცხოვრებო თუ სხვა ტიპის ნარჩენები!

ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა სახელმწიფოსთან ერთად ყველა მოქალაქის ინდივიდუალური პასუხისმგებლობაცაა. თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ქმედებით, ქმედებისგან თავის არიდებითა თუ ქცევის ცვლილებით შეგვიძლია შევიტანოთ ჩვენი მნიშვნელოვანი წვლილი ჰაერის დაბინძურებასთან ბრძოლაში. სუფთა ჰაერი ადამიანის კანონიერი უფლებაა. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიხედვით „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში...“, რაც, რა თქმა უნდა, პირველ რიგში სუფთა ჰაერის გარემოში ცხოვრების უფლებას გულისხმობს.

# ქვეყნები,სადაც ოთხდღიანი სამუშაო კვირა უკვე მოქმედებს

***უკვე გავრცელებული ოთხდღიანი სამუშაო კვირა არის სისტემა, როცა ბიზნესი თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, ყოველკვირეული სამუშაო გრაფიკი მთელი ერთი დღით შეამციროს.***

tech.co წერს, რომ წელს, ვიდრე ოდესმე, ოთხდღიან სამუშაო კვირას, როგორც ოფციას, უფრო მეტი ბიზნესი სთავაზობს თანამშრომლებს. მეტიც, პანდემიის შემდეგ ოთხდღიან სამუშაო კვირაზე მთელს მსოფლიოში ექსპერიმენტი ჩატარდა, რომელშიც ასობით კომპანია და ათასობით თანამშრომელი მონაწილეობდა. შედეგი აბსოლუტურად დადებითი იყო.

ოთხდღიანი სამუშაო კვირა თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, თავიანთი ყოველკვირეული საათები ხუთის ნაცვლად ოთხ დღეში დაასრულონ, რაც მათ დამატებით დასვენების დღეს უტოვებს. თუმცა, სისტემა სხვადასხვაგვარია. კერძოდ, ერთის მხრივ, თანამშრომლები კვირის განმავლობაში ნაკლებ საათს მუშაობენ, მეორეს მხრივ კი, სამუშაო საათების რაოდენობა იგივე რჩება და დღეების რაოდენობა ხუთიდან ოთხამდე მცირდება.

ამასთან, ოთხდღიანი სამუშაო კვირის ბევრ ექსპერიმენტში „100-80-100-ის“ მეთოდი იქნა გამოყენებული, რაც პერსონალისთვის 100%-იანი ანაზღაურების გადახდას სამუშაო დროის 80%-ზე 100%-იანი პროდუქტიულობის სანაცვლოდ გულისხმობს.

ოთხდღიანი სამუშაო კვირის აქტუალურობის მიუხედავად, ნაკლებია ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სისტემა რეალურად დანერგა ან მიიღო კანონი, რომელიც მუშახელს ამ მხრივ არჩევანის თავისუფლებას ანიჭებს. თუმცა არის ქვეყნები, სადაც ოთხდღიანი სამუშაო კვირა, სხვებთან შედარებით, მეტად გავრცელებულია. ასევე, არის ქვეყნები, სადაც არსებული კანონები ამ სისტემაზე გადასვლას აჩქარებს.

მაინც, მსოფლიოს რომელი ქვეყნები „აკეთებენ ნახტომს“ ოთხდღიანი სამუშაო კვირისკენ და სად შეიძლება ყველაზე მარტივად ისეთი სამუშაოს შოვნა, სადაც პარასკეობით მუშაობა სავალდებულო არ არის:

**ბელგია**

ეს პირველი ევროპული ქვეყანაა, რომელმაც 2022 წელს ოთხდღიანი სამუშაო კვირა დააკანონა. ბელგიელებს უკვე ლეგალურად შეუძლიათ, ოთხ დღეში დაასრულონ სამუშაო საათები, რომლებიც მანამდე მათ სტანდარტულ ხუთდღიან სამუშაო კვირას შეადგენდა.

2022 წლის ნოემბერში, კანონის მიღების დღეს ბელგიის პრემიერ-მინისტრ ალექს დე კროომ განაცხადა, რომ „მიზანი არის, ადამიანებსა და კომპანიებს თავიანთი სამუშაო დროის გადასანაწილებლად მეტი თავისუფლება მიეცეთ.”

**არაბთა გაერთიანებული საემიროები**

2023 წლის 1-ლი ივლისიდან საემიროებში ყველა სახელმწიფო თანამშრომელს არჩევანის მიხედვით, შეუძლია, კვირაში ოთხი დღე იმუშაოს. მართალია, ეს წესი სხვა მუშახელს არ ეხება, მაგრამ საემიროებში სამუშაო ძალის, თითქმის, 90% მთავრობის მიერ არის დასაქმებული. ამდენად, კვირაში ოთხი დღე მუშაობა რეალურად ადამიანების დიდ უმრავლესობას შეუძლია.

**ისლანდია**

ამ ცივ, პატარა ქვეყანაში, სადაც 350,000-ზე ოდნავ მეტი ადამიანი ცხოვრობს, რეალურად უფრო მეტი მუშახელია, რომელიც კვირაში ოთხი დღე მუშაობს, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში. 2015-დან 2019 წლამდე ქვეყანაში ოთხდღიან სამუშაო კვირაზე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ხანგრძლივი ექსპერიმენტი ჩატარდა, რაც საბოლოოდ დაინერგა კიდეც. 2022 წელს Forbes წერდა, რომ ისლანდიელი მუშახელის, თითქმის, 90% სამუშაო საათებს ყოველ კვირას ამცირებს.

**ლიეტუვა**

მართალია, ქვეყანაში არ მოქმედებს კანონი, რომელიც ოთხდღიან სამუშაო კვირას გულისხმობს, მაგრამ მოქმედებს 2021 წელს მიღებული კანონი, რომლის თანახმადაც, მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებს შეუძლიათ, კვირაში მხოლოდ 32 საათი იმუშაონ, მაშინ, როცა ქვეყანაში სამუშაო კვირა, საშუალოდ, 40 საათია. ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ ლიეტუვაში მშობლები კვირაში ოთხდღიანი საათების რაოდენობით მუშაობენ, მაშინაც კი, თუ ამ საათებს ხუთ დღეზე ანაწილებენ.

**საფრანგეთი**

იმის მიუხედავად, რომ საფრანგეთში ოთხდღიანი სამუშაო კვირა დაკანონებული არ არის, ბიზნესი პერსონალს ამ სისტემას სულ უფრო ხშირად სთავაზობს. ეს, ნაწილობრივ, განპირობებულია იმით, რომ საფრანგეთმა 2000 წელს 35-საათიანი სამუშაო კვირა დააკანონა, რომლის ოდესმე გაუქმებაც ნაკლებ სავარაუდოა. ეს კანონი საკმაოდ მარტივს ხდის ოთხდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლას. კერძოდ, ოთხი 8-საათიანი სამუშაო დღე კვირაში 32 საათს შეადგენს, რაც კანონით დადგენილ 35 საათზე ოდნავ ნაკლებია. შრომის სამინისტროს მონაცემებით, საფრანგეთში 10,000 თანამშრომელი უკვე ოთხდღიან სამუშაო კვირაზე არის გადასული.

ოთხდღიანი სამუშაო კვირა მთელ მსოფლიოში არაერთხელ დაიტესტა და მთლიანობაში, ეს ექსპერიმენტები წარმატებით დასრულდა.

9 ქვეყანა, რომლებმაც ოთხდღიანი სამუშაო კვირის სისტემა უკვე გამოსცადა ან ცდიან:

- გაერთიანებული სამეფო (ექსპერიმენტი დასრულდა) - მონაწილეობდა 61 კომპანია და 2,900-ზე მეტი თანამშრომელი. კომპანიების 92%-მა სისტემის გამოყენება გააგრძელა, ხოლო 18-მა კომპანიამ პოლიტიკა შეცვალა.
- აშშ და ირლანდია - (2022 წელს დასრულდა) ერთობლივ ექვსთვიან ექსპერიმენტში 33 კომპანიის 900 თანამშრომელი მონაწილეობდა. CNBC-ის თანახმად, მონაწილეებმა სისტემა 10-დან 9.1-ით ქულით შეაფასეს, ხოლო 97%-მა მისი შენარჩუნების სურვილი გამოთქვა.
- ესპანეთი (2023 წლის 10 აპრილიდან 7 მაისამდე) - ქალაქ ვალენსიაში 360,000 მუშახელს კვირაში დამატებითი დასვენების დღე მიეცა. კვლევამ აჩვენა, რომ სისტემა უკეთესია მუშახელის ჯანმრთელობისთვის და მათი შვილებისთვისაც მეტი სარგებელი მოაქვს.
- სამხრეთ აფრიკა/ბოტსვანა (2023 წელს დასრულდა) - მონაწილეობდა 28 სამხრეთაფრიკული ბიზნესი და ერთი კომპანია მეზობელი ბოტსვანიდან. უმეტესობამ სისტემის გამოყენება გააგრძელა, ხოლო სამმა კომპანიამ შეწყვიტა. ექსპერიმენტმა სტრესის 40%-ით და დამწვრობის 75%-ით შემცირება, ასევე, ავადმყოფობის ნაკლები დღეები და სამუშაოსა და ცხოვრებას შორის გაუმჯობესებული ბალანსი აჩვენა.
- იაპონია - Microsoft-იაპონიამ ჯერ კიდევ 2019 წელს ჩაატარა ექსპერიმენტი თავის პერსონალზე საათების შეკუმშვით. მონაწილეების, დაახლოებით, 40% უფრო პროდუქტიული გახდა. თუმცა ტენდენცია ქვეყნის მასშტაბით ჯერ არ შეინიშნება.
- კანადა (2022 წელს დასრულდა) - მონაწილეობდა 41 კომპანია, საიდანაც 35-მა აღნიშნა, რომ აპირებდნენ ცვლილების შენარჩუნებას.
- პორტუგალია (მიმდინარეობს) - ექვსთვიანი საცდელი ექსპერიმენტი ივნისში დაიწყო. მონაწილეობს 39 კორპორატიული ბიზნესი. სტანდარტულად ქვეყანაში მუშახელის, თითქმის, სამი-მეოთხედი კვირაში 40 საათზე მეტს მუშაობს.
- ბრაზილია (მიმდინარეობს) - დაიწყო 2023 წლის 4 სექტემბერს, რაც ლათინურ ამერიკაში პირველი პრეცენდენტია. მონაწილეობს 20 კომპანია, თითოეულში 400-ზე მეტი თანამშრომლით.

არის ქვეყნები, რომლებიც მუშახელის სამუშაო საათების რაოდენობას თანდათან ამცირებენ. კერძოდ, დანიას მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოკლე სამუშაო კვირა აქვს. მუშახელს კვირაში მუშაობა მხოლოდ 33 საათი მოეთხოვება, რაც ოთხი დღის განმავლობაში დღეში 8 საათისა და პარასკევს ნახევარი დღის ექვივალენტია.

ნიდერლანდებში სამუშაო საათები უფრო ნაკლებია და საშუალო სამუშაო კვირა სულ რაღაც 29 საათს შეადგენს. ეს ევროპაში ყველაზე მოკლე სამუშაო კვირაა.

ამ მხრივ კუნძულოვანი სახელმწიფო, ვანუატუ ლიდერია, სადაც საშუალო სამუშაო კვირა სულ რაღაც 24,7 საათისგან შედგება.

*გვერდი მოამზადა*
**ჟუჟუნა ყანჩაშვილმა**




გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

## 1956 WELI

● ATASAMDE MOSWAVLESA DA MASWAVLEBELS MOUYRIA TAVI WITELWYAROS RUSULI SASUALO SKOLIS EZOSI. SASWAVLO WELI GAXSNA SKOLIS DIREQTORMA, S. IVANIZEM. SKOLAM WELS PIRVEL KLASSI 150 MOSWAVLE MIIRO.

● SAZEIMO VITAREBA IYO SOFEL JAFARIZIS SVIDWLIANI SKOLIS EZOSIC. LOZUNGEBIT DAMSVENEBULI SENOBA BAVSVEBS MOUTMENLAD ELODA. MITINGI GAXSNA SKOLIS PARTIULI ORGANIZACIIS MDIVANMA PLATON FIROSMANASVILMA, SEMDEG KI SCENA DAUTMO MEXUTEKLASEL, XUTOSAN MOSWAVLES, LIANA ZURASVILS.

● AXALI SASWAVLO WELI DAIWYO. SOFEL ARXILOSKALOS SASUALO SKOLAS, ROMELIC MIMDINARE WLIS DASAWYISSI GAIXSNA AMAVE SOFLIS KIROVIS SAXELOBIS KOLMEURNEOBAM AMJERAD USASYIDLOD GADASCA SAMOTAXIANI SENOBA. ASEVE KOLMEURNEOBAM DAIWYO AXALI SKOLIS MSENEBLOBA, ROMELIC AM WLIS BOLOS DAMTAVRDEBA. GARDA AMISA, KOLMEURNEOBA GVATYOBINEBS, ROM SKOLA MATGAN SACUQRAD MIIREBS VIWROFIRIAN KINO-DANADGARS DA SIDAWVIS ZRAVAS.

● RAIONIS PIONERTA SAXLMA SWAVLIS DAWYEBAMDE EQSKURSIA MOAWYO WITELWYAROS KIRIS QARXANASI. QARXNIS KOLEQTIVMA PIONEREBI GULTBILAD MIIRO DA TEQNOLOGMA DAWVRILEBIT AUXSNA DA DAATVALIEREBINA KIRIS GAMOWVIS PROCESI. PIONEREBMA KI MUSEBS LEQSEBI WAUKITXES

● GAZAFXULIS ARDADEGEBIS SEMDEG PIRVELAD DAIREKEBA SKOLIS ZARI, ROMELIC GVAMCNOBS AXALI SASWAVLO WLIS DAWYEBAS. CVENS SKOLEBS, MAT PEDAGOGIUR KADREBS MARTEBT MECADINEOBIS PIRVELI DRIDANVE MTELI PASUXISMGEBLOBIT MOHKIDON XELI SWAVLA-ARZRDIS SAQMES DA ARAR GANMEORDES IS SECDOMEBI DA NAKLOVANEBEBI, ROMLEBSAC ADGILI HQONDA GASUL SASWAVLO WLEBSI DA RAC GAMOWVEULI IYO I.B STALINIS PIROVNEBIS GAKULTEBIS SEDEGAD.

● GUSIN CATAREBULMA AGVISTOS TATBIRMA MKVETRAD GAMOAMJRAVNA BEVRI NAKLOVANEBANI. AMIS SESAXEB GABEDULAD ILAPARAKES SITYVASI GAMOSULMA AMXANAGEBMA. TITQMIS YVELA ORATORIS MSJELOBIS SAGANIS IS IYO, ROM ZALZED DABAL DONEZE DGAS DISCIPLINA SKOLEBSI, DABALIA MOSWAVLETA AKADEMIURI MOSWREBA, ADGILI AQVS SKOLEBIDAN MOSWAVLETA GANTESVA DA SXVA.

● MOSAVLIS AREBASI DAWINAURDA MEMINDVREOBIS # 3 BRIGADA, ROMELSAC AL. PICINSKI XELMZRVANELOBS. BRIGADAM 95 HEQTARZE AREBULI MZESUMZIRA DROZE GAASUFTAVA, GAASRO DA DAABINAVA. BRIGADEBI SEUDGNEN AGRETVE SIMINDIS MOSAVLIS AREBAS. PIRVEL DRES AT HEQTARZE MOTEXES TARO DA HEQTRIDAN OCZE METI CENTNERI MOSAVALI MIIRES

## 1970 WELI

● QALAQ WITELWYAROS QARTULI SASUALO SKOLIS UKAN MDEBAREOBS SAPIRFARESO, ROMELIC GAUQMEBULIA DA KARGAXANIA ARAR IXMAREBA, MAGRAM IGI AUREBEL `CIXE-SIMAGRESAVIT~ DGAS DA AXLOMAXLO MCXOVREBLEBS SULS UXUTAVS -IQIDAN MONADENI SUNI. SAWIROA ARNISNULI SAPIRFARESOS DAUYOVNEBLIVI AREBA DA AM ADGILIS DASUFTAVEBA. SXVATASORIS, UNDA ITQVAS ISIC, ROM AMAVE SKOLIS MOSWAVLETA MIER SEGROVILI JARTI DIDIXANIA YRIA SKOLIS EZOSI, MAGRAM MIS AREBASA DA SAXELMWIFOSTVIS CABAREBAZE JERJEROBIT ARAVIN ZRUNAVS.

● WITELWYAROS SAREMONTO-SAMSENEBLO UBNIS MIER MOASFALTDA RUSTAVELIS QUCA, MAGRAM NARCENEBI GZIS PIRAS YRIA DA XELS USLIS TRANSPORTIS MOZRAOBAS DA QVEITTA GADAADGILEBAS.

● RUSTAVELIS QUCAZE, RKINIGZIS XIDTAN AXLOS MDEBARE ORSARTULIANI SAERTO SACXOVREBLIS SAXLIS MCXOVREBLEBI NAGAVS DA SAKVEBIS NARCENEBS YRIANLIANDAGEBZE, RIS GAMOC AQ GAMEFEBULIA ANTISANITARIA, XOLO RUSTAVELIS 84-SI MCXOVREBNI CIVIAN IMAZE, ROM DAGROVILI NAGVIS WASAREBAD AVTOMANQANA DROULAD AR MODIS. DAAVADEBIS SESAZLO GAVRCELEBIS SASIS KERAS WARMOADGENS RKINIGZIS SAPIRFARESO, ROMELIC TAVRIAA. MAS EXVEVIAN BUZEBI DA MWEREBI, ROMLEBSAC ES SIBINZURE GADAAQVT.

● ZOGIERTI MOQALAQE MIS SAXLTAN, MIS TVALWIN MDEBARE USUFTAOBAS, GULDAMSVIDEBULI UYUREBS - AQAODA, VIRACA SXVA GAAKETEBS AM SAQMESO, MAGRAM SXVISI XELIT NARIS GLEJIS MOYVARULEBS SEVAXSENEBT, ROM ES NAGAVI PIRVEL RIGSI MAT AWUXEBT, TVITONAC XELI UNDA GAANZRION DA MONAWILEOBA MIIRON USUFTAOBIS MOSASPOBAD, VINAIDAN QALAQSI SANITARULI WESRIGIS DACVA YVELA MSROMELIS RVIZLI SAQMEA.

## 1978 WELI

● RAIONIS KOLMEURNEOBASI ALOOBA FINISS UAXLOVDEBA. MTELMA RIGMA KOLMEURNEOBEBMA UKVE DAASRULES MOSAVLIS AREBA. RAIONIS MSROMELEBI, ROMLEBMAC VALDEBULEBA IKISRES XUTWLEDIS MESAME WELS DAAMZADON 30 ATASI TONA MARCVALI, WARMATEBIT ANARDEBEN PIROBAS. ISINI YOVELDRIURAD ATAS TONAZE MET MARCVALS ABAREBEN ELEVATORS. 31 IVLISISTVIS RAIONIS KOLMEURNEOBEBMA SAXELMWIFOS MIHYIDES 19. 216 TONA MARCVALI. MARCVLIS MIYIDVIS GEGMA PIRVELEBMA SEASRULES OZAANELMA MXVNEL-MTESVELEBMA, ROMLEBMAC 1680 TONIS NACVLAD, SAXELMWIFOS UKVE MIHYIDES 1756 TONA MARCVALI. MARCVLIS DAMZADEBASI TAVI ISAXELES ZEMO QEDIS KOLMEURNEOBIS MSROMELEBMAC, ROMLEBMAC SAXELMWIFOS UKVE MIHYIDES 4 380 TONA MARCVALI. SAXELMWIFOZE MARCVLEULIS MIYIDVA GRZELDEBA.

● KOMBAINI KVALSI ROM SEDIS, MISI YVELA AGREGATI SAMUSAOD ROM CAIRTVEBA, KOMBAINERIC, ROM ITYVIAN, WELSI MASIN GAISLEBA XOLME. AM DROS NURC SEACEREB, NURC DAELAPARAKEBI. GAMOCDILI XELMZRVANELEBI SAQMES ISE AWYOBEN, ROM MEQANIZATOREBS MOEMSAXURON KVALSI, KOMBAINIS SEUCEREBLIV. IQ MIAQVT SAWMELSASMELI, SAWVAV-SACXEBI MASALEBI. ASE XDEBA ZEMO QEDSI, ZEMO MACXAANSI, ARXILOSKALOSI, JAFARIZESI, MAGRAM, SAMWUXAROD, ORJONIKIZISA DA LENINIS SAXELOBIS KOLMEURNEOBEBSI MEQANIZATOREBS IRLIASI AMODEBULI MOAQVT SINIDAN SAWMELI. VESAUBRET SAVELE MZAREULS, ROMELMAC GVITXRA, ROM ARC KARTOFILI, ARC XORCI, ARC CXIMI AR GAACNIA DA TYUILUBRALOD CDEBA UKVE MESAME DREA.

● GULSATKENIA, ROM ZOGIERTI MZROLI SAWIS ERTI SEMOBZRIALEBIT ATOBIT KILOGAM MARCVALS ABNEVS GZAZE. AMIS GAMO GZIS NAPIREBS ZOGAN OQROS FERI -IQIDASDEBIA. 17 IVLISS, WITELWYAROS ELEVATORSI MITANIL GAMARJVEBIS AVTOMANQANAS 180 KILOGRAMI XORBALI DAAKLDA, ZOGJER 60-70 KILOGRAMI AKLDEBAT SXVEBSAC. AMAZE MAT AQTEBS UDGENEN ELEVATORSI, MAGRAM ES SAQMES SVELIS?!

(STILI DACULIA)

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

# გიორგი გივიშვილი მსოფლიო ჩემპიონია

***ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატის -66 წონით კატეგორიაში ქართველმა ძიუდოისტმა ნეიტრალური დროშით მოასპარეზე აბდულახ პარჩიევი დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა! გიორგი წარმოშობით დედოფლისწყაროდან, კერძოდ კი სოფელ გამარჯვებიდანაა.***



არის პირველი მედალი და არის პირველი ოქრო! ლიმაში, ჭაბუკ ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატში 66 კილოგრამში გიორგი გივიშვილმა გაიმარჯვა, რითაც ჩვენმა გუნდმა მედლების ანგარიში გახსნა.

თუმცა, თავისუფლად შეიძლებოდა, გივიშვილის ოქრო ასე ეული მედალი არ ყოფილიყო, რადგან ბრინჯაოსთვის კიდევ ორი ჩვენებური ჭიდაობდა - მერაბ სამადაშვილი (60) და ვასილ გამეზარდაშვილი (66), თუმცა ერთმანეთზე უარესი ბავშვური შეცდომები დაუშვეს და უმედლოდ დარჩნენ. თავისუფლად შეიძლებოდა, 66-ში ქართული ფინალიც გვეხილა, თუმცა გამეზარდაშვილი ნახევარფინალში დამარცხდა.

გივიშვილმა ფინალში იჯფ-ის დროშით მოჭიდავე რუსი აბდულახ ფარჩიევი მოახსნევინა 3 გაფრთხილებით, რითაც რევანში აუღო ევროპის წლევანდელი პირველობის ფინალში მარცხისთვის. ამით გამეზარდაშვილის ნაცვლადაც აიღო რევანში, ვინც ნახევარფინალში სწორედ ფარჩიევთან დამარცხდა. გივიშვილი მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორია ანუ ზედიზედ მეორე მსოფლიოზე მოიპოვა მედალი, თუმცაღა ხარისხში განსხვავება დიდია შარშანდელსა და ახლანდელ მედლებს შორის.

გაფრთხილებებით გამარჯვება სულაც არ აკნინებს მის მნიშვნელობას, რადგან გივიშვილი კოლოსალურ უპირატესობას ფლობდა და ბევრსაც უტევდა. კი, ილეთი ვერ გააკეთა, თუმცა მთელი შეხვედრა შეტევაში გაატარა, პირველ ნომრად, ინიციატივასაც სრულად ფლობდა და სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვა. ერთხელ იყო ეპიზოდი, როცა თითქოს დააგდო კიდეც მეტოქე, მსაჯებმა ვიდეოზეც გადაამოწმეს, მაგრამ მაინც არ შეაფასეს გდებად. არადა, ბეჭი კი დაარტყმევინა ფარჩიევს.

გივიშვილი პირველივე წრიდან ჩაება შეჯიბრებაში, სადაც დომინიკანელ ანდერსონ არიასს აჯობა, შემდეგ ხორვატი დავიდ სეგა და არგენტინელი რაივერ ალვარენგა სოტო დაამარცხა, ნახევარფინალში კი ფრანგი ბაპტისტ დე არაუჟოც დაჯაბნა.

***გაზეთი „შირაქი“ ულოცავს გიორგის ამ წარმატებას და ბრწყინვალე სპორტულ კარიერას უსურვებს.***

# 30 აგვისტო უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღეა

30 აგვისტო უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღეა. ამ თარიღთან დაკავშირებით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა, გენერალ-მაიორმა კობა კობალაძემ, თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მემორიალი ყვავილებით შეამკო და დაკარგულთა ოჯახის წევრებს კიდევ ერთხელ თანაუგრძნო იმ მწუხარების გამო, რაც ოჯახის წევრისა და ახლობლის უგზო-უკვლოდ დაკარგვას ახლავს.

ამის შესახებ ინფორმაციას ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური ავრცელებს.

მათი ცნობით, მემორიალთან, ღონისძიება გაიმართა, რომელიც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, ფონდ „მოლოდინისა“ და ოჯახური კომიტეტების წევრთა ორგანიზებით და მონაწილეობით ჩატარდა.

„ღონისძიება, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, თეა ახვლედიანმა გახსნა და კიდევ ერთხელ გამოხატა თანადგომა იმ ადამიანების მიმართ, ვისაც ოჯახის წევრები უგზო-უკვლოდ ჰყავთ დაკარგული.

ღონისძიების დასასრულს, სამების საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურმა, არქიმანდრიტმა იოანე მჭედლიშვილმა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა.

უგზო-უკვლოდ დაკარგულთა დღე, 1981 წელს, კოსტა რიკაში, ლათინურ ამერიკაში დაარსდა. საქართველოში კი, ამ დღეს, ოფიციალურად, 2003 წლიდან აღნიშნავენ.

საქართველოში, 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, 2049 სამხედრო და სამოქალაქო პირი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა; მათი ოჯახები, ახლობელი ადამიანის უცნობი ბედ-იღბლის გამო, გაურკვეველ ვითარებაში, მრავალი წლის მანძილზე იმყოფებიან. 2010 წელს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ჩართულობით, ორი საკოორდინაციო მექანიზმის შექმნის შემდეგ, რომელთაგან ერთი– 1992-1993 წლების აფხაზეთის შეიარაღებულ კონფლიქტთან, ხოლო მეორე - 90-იანი წლებისა და 2008 წლის ცხინვალის რეგიონში წარმოებულ საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით ფუნქციონირებს, 2013 წლიდან, სხვადასხვა ლოკაციაზე მოძიებულია 543 ადამიანის ნეშტი, აქედან 301 ამოცნობილია და გადაეცა ოჯახებს.

უგზო-უკვლოდ დაკარგულთა იდენტიფიცირებისა და ოჯახებისთვის გადაცემისთვის, ჰუმანიტარული საკოორდინაციო მექანიზმი, მუშაობას, უწყვეტ რეჟიმში აგრძელებს“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

**ინფორმაციისთვის:**

საქართველოში, გასულ წელს 149 ადამიანი დაიკარგა. რომელთაგან 89 მოიძებნა, მათ შორის 16 გარდაცვლილია ნაპოვნი — 60 პირი კვლავ დაკარგულად ითვლება.

2023 წელს დაკარგულ პირთა სტატისტიკა რეგიონების მიხედვით ასეთია: თბილისი — 54, მოიძებნა 35; ქვემო ქართლი — 6, მოიძებნა 4; კახეთი — 21, მოიძებნა 17; შიდა ქართლი 7, მოიძებნა 1; სამცხე-ჯავახეთი 2, მოიძებნა 2; გურია — 5, მოიძებნა 3; მცხეთა-მთიანეთი 6, მოიძებნა 1; იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი — 20, მოიძებნა 4; სამეგრელო-ზემო სვანეთი — 24, მოიძებნა 21; აჭარა — 4, მოიძებნა 1; აფხაზეთი 0.

2023 წელს დაკარგულთა შორის ყველაზე მეტი 65 ადამიანი (მოიძებნა 35; 10 გარდაცვლილი) 25-45 წლის ასაკობრივ კატეგორიაშია; 18 წლამდე — 17 პირი (მოიძებნა 11; 0 გარდაცვლილი); 18-24 წელი — 13 (მოიძებნა 9; 1 გარდაცვლილი); 45-60 წელი — 35 (მოიძებნა 14; 1 გარდაცვლილი); 60 წელზე მეტი ასაკის — 19 (მოიძებნა 4; 4 გარდაცვლილი);

გასულ წელს დაკარგულ მოქალაქეებს შორის 135 პირი საქართველოს მოქალაქეა (81 მოიძებნა, 15 გარდაცვლილია), 14 კი უცხო ქვეყნის — (8 მოიძებნა, 1 გარდაცვლილია).

10 ა

# ანაკლიისა და შაორის საზაფხულო ბანაკი დასრულდა

/მეხუთე გვერდიდან/

**დავით ბიძინაშვილი** ***(ქ. დედოფლისწყარო):*** „შაორის ბანაკში მოხვედრა სირთულეებთანაა დაკავშირებული, რადგან რეგიონებიდან ძალიან ბევრს სურს იქ მოხვედრა. საბედნიეროდ, ბოლო ნაკადში მეც მერგო ადგილი. ბანაკში მოხვედრა იმიტომ მინდოდა, რომ პირველ რიგში შემეძინა ახალი მეგობრები, მიმელო სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა. დღეები ისე სწრაფად გადიოდა, ვერც გავიგე. წამოსვლა არავის გვინდოდა. რადგან ბოლო ნაკადი იყო, ჩვენ ძალიან ბევრი ცნობადი ადამიანი გვესტუმრა. პრემიერი ირაკლი კობახიძე, პარლამენ-





ტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრი გიორგი ამილახვარი, ასევე ქალაქ თბილისის მერი კახი კალაძე. ასევე ვუმასპინძლეთ ოლიმპიელებსაც. გულთბილი შეხვედრა გვქონდა ლაშა ბექაურთან, ილია სულამანიძესა და გიორგი სარდალაშვილთან. ამ ყველაფერმა ჩვენზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ძალიან გაგვიხარდა ამდენი ნაცნობი ადამიანის პირისპირ ნახვა. ვიმედოვნებ, შემდეგ წელსაც მოვახერხებ და მოვხვდები იმ 800 კაცში, ვინც შაორის ბანაკში ისევ წავა, რადგან ეს ჩემი ერთ-ერთი ყველაზე კარგი გადაწყვეტილება იყო, რომ ბანაკში მოსახვედრად მებრძოლა. როდესაც გავიგე, რომ ლაშა ბექაური ჩვენს შესახვედრად მოდიოდა, სიამაყის გრძნობით ავივსე. ყველას ვეუბნებოდი, ერთი რაიონიდან ვართ და ლაშას და გიორგის მანამდე დედოფლისწყაროშიც შევხვდიმეთქი. იმდენად ბედნიერი ვიყავი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ზოგადად, ბანაკი ბევრ რამეს აძლევს ახალგაზრდას. პირველ რიგში გუნდურობას და ერთმანეთის მიმართ სიყვარულს. მონაწილეები ხვდებიან სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულ მათივე ასაკის ბავშვებს და უკეთესად ეცნობიან. ცვლიან აზრებს, ყვებიან ისტორიებს, რაც მათ ეხმარებათ შემდეგში კომუნიკაციასა და ახალი ადამიანების გაცნობაში. ამჟამად კავკასიის უნივერსიტეტში ვსწავლობ, კომპიუტერულ ინჟინერიასა და ელექტრონიკაზე, მესამე კურსის სტუდენტი ვარ და ვაპირებ სწავლის დამთავრების შემდეგ გავყვე ჩემს პროფესიას. მინდა წვლილი შევიტანო ჩემი ქვეყნის განვითარებაში. ეს იქნება ჩემთვის ყველაზე დიდი მიღწევა“.



**მარიამ ოზბეთელაშვილი** ***(ზემო მაჩხაანი):*** „ჩემთვის ბანაკი არის ადგილი, სადაც თავს ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ. ამ წელს ორჯერ მომიწია წასვლა. კერძოდ ანაკლიაში (უნივერსიტეტიდან) და შაორზე (აპლიკაცია შევავსე და დამირეკეს) ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გამიმართლა. გარემო საოცარია რასაც კიდევ უფრო ალამაზებს და სიხალისეს მატებს ლიდერების და სტაფის დიდი გუნდი. ბანაკი არამარტო გასართობი, არამედ შემეცნებითი ადგილიცაა. ვინაიდან მთელი დღეების განმავლობაში თანაბრადაა გადანაწილებული როგორც გასართობი აქტივობები, ასევე ტრენინგები და ლექციები სხვადასხვა მნიშვნელოვან თემებზე რომელსაც მოწვეული სტუმრები კითხულობენ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს მოხსენება არ არის მონოლოგი. თამამად შეგიძლია დასვა ნებისმიერი სახის კითხვა, რაზეც ნამდვილად ამომწურავი პასუხები მივიღეთ. ასევე, თეატრალური დადგმა გვქონდა, ჩვენი ხელით შეკერილი ფორმებით და მუსიკალური გაფორმებით „სამაია“ ვიცეკვეთ. ჩემს გუნდს დავალებული ჰქონდა თამარის, დავითის და შოთას პერიოდის გაცოცხლება და ვფიქრობ, თავი კარგად გავართვით. ჩემთვის ერთგვარი ჰობია მსგავსი სახის აქტივობები, ალბათ გემახსოვრებათ დედოფლისწყაროში ჩატარებული ბანაკი რომელსაც მე და ჩემი მეგობრები ვუძღვებოდით და მინდა გითხრათ, რომ ორივე ამპლუაში ყოფნა, როგორც ლიდერი და როგორც მონაწილე ძალიან სასიამოვნოა. ვფიქრობ, ყველამ უნდა გამოსცადოს ეს გრძნობა ერთხელ მაინც.

ანაკლიაში ვიყავი უნივერსიტეტიდან, GPI-ის მიხედვით შემარჩიეს, მართლაც რომ საუკეთესო იყო. სწორედ იქ მითხრეს, რომ აუცილებლად წავსულიყავი შაორშიც, რადგან იდეურად ზუსტად იგივე ბანაკში შეიძლება სხვა ემოციები განმეცადა. მაშინვე შევავსე აპლიკაცია და რომ დამირეკეს ძალიან გამიხარდა. ეს ნაკადი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ემოციებით სავსე იყო. გარდა ზემო აღნიშნულისა, რადგან დახურვის ნაკადი იყო ძალიან ბევრი სტუმარი გვყავდა. მათ შორის ლაშა ბექაური, ილია სულამანიძე და გიორგი სარდალაშვილი. ეს მართლაც ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი იყო, რადგან ის ემოცია რომელიც ტელევიზორის წინ, პარიზის ოლიმპიადაზე გულშემატკივრობისას განვიცადე, მათი შეხვედრისას გაასმაგდა. პირადად გვესაუბრნენ თავიანთ განვლილ გზაზე, თუ როგორ მიაღწიეს ამხელა წარმატებას. გარდა ამისა, ისაუბრეს თავიანთ ჰობზე და აღნიშნეს, რომ ბანაკში ოჯახური გარემო ტრიალებდა და ძალიან თავისუფლად საუბრობდნენ ნებისმიერ თემაზე. მე პირადად უფრო ამაყად ვგრძნობდი თავს, რადგან ჩემი რაიონიდანაა ოლიმპიური ჩემპიონი“.



ესაუბრა
***ილია მარტყოფლიშვილი***

## უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

### მარინე მოლაშვილს!

ჩვენს უსაყვარლეს და უერთგულეს მეგობარს, ახლა უკვე დიდი ოჯახის დაუღალავ მოამაგეს, ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანსაღ, ლამაზ და დღეგრძელ სიცოცხლეს.

არასდროს გასჩენოდეს ბზარი შენს მზრუნველობით გამთბარ გულს და მუხლჩაუხრელ, თავდაუზოგავ ენერგიას.

**ღმერთმა გატაროს საღი სხეულით,**
**გაცილოს დარდი, ცრემლით ნალესი**
**და არ მოგშლოდეს დღე მხიარული**
**ოჯახის სითბო, ჩვენი ალერსი.**

*დიდი პატივისცემით:*
**ცისია პაპუაშვილი, მარიკა ჯინაშვილი**

### ელზა ხარაშვილს! ნათელა ბოსტაშვილს!

გილოცავთ თქვენი შვილისა და შვილიშვილიშვილის: **გიორგი გველუკაშვილის** და **ლუკა თეთვაძის** ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და სტუდენტობას! გიორგისა და ლუკას ცხოვრების ბედნიერ წლებს ვუსურვებთ! გვჯერა, თქვენნაირი განათლებული თაობა ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

*სიყვარულით, „შირაქელები“.*


## ი ყ ი დ ე ბ ა !

**იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 მეტრკვადრატი, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით , ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 მეტრკვადრატი ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61**


## ა მ ი ნ დ ი — დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

| | ორშაბათი 02.09 | | სამშაბათი 03.09 | | ოთხშაბათი 04.09 | | ხუთშაბათი 05.09 | | პარასკევი 06.09 | | შაბათი 07.09 | | კვირა 08.09 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| | 29 ° | 16 ° | 30 ° | 16 ° | 30 ° | 16 ° | 30 ° | 16° | 28 ° | 16 ° | 27° | 15 ° | 28 ° | 16 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.



რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)



რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
**გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი**